პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 8 (20849) — სამშაბათი, 10 იანვარი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

დიდი ნდობა — საუკეთესოებს

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მეორე სამკერვალო საამქროს მკერავი **მაი ანატოლის ასული კალმახელიძე** კიდევ ერთი კანდიდატი გახდა, რომელიც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად დასახელეს № 163 თბილისის — ოქტომბრის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში. ეს გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღო მისი საწარმოს შრომითი კოლექტივის კრებამ. ამიგად, ამ ოლქის ამომრჩევლებს, სადაც, კერძოდ, დასახელებულია „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს № 32 გვირაბგამყვანთა რაზმის ბრიგადირის თეიმურაზ გიორგის ძე გოგიაშვილის კანდიდატურა, მოუწევთ მოახდინონ არჩევანი.

ეს არჩევანი კი უბრალო არ იქნება. ორივე კონკურენტი არის თავისი საქმის ოსტატი, აქტიური საზოგადო მუშაკი. მაგალითად, დაახასიათეს რა მ. ა. კალმახელიძე, მისმა თანამოსაქმე ამხანაგებმა საგანგებოდ აღნიშნეს ის დიდი გულმოდგინება, რომლითაც იგი ასრულებს თავის სადეპუტატო მოვალეობებს, არის ამჟამად მათი სრულუფლებიანი წარმომადგენელი რესპუბლიკის სახელმწიფო ზელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

საინტერესო იქნება არჩევანი № 656 თბილისის — 26 კომისრის სახელობის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა შორისაც. მაგალითად, დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების კოლექტივის მიერ აქ წინაათ დასახელებულ ამ საწარმოს მექანიკური საამქროს ზეინკალთა ბრიგადირს ვახტანგ ვლადიმერის ძე კუბლაშვილს ახლა დაემატა თბილისის კერამიკული კომბინატის მწნეხავი [illegible] კომბინატის შრომითი კოლექტივი, [illegible] — [illegible] ზრდელობის გამოცდილი დამრიგებელი, საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოს კომპარტიის სამი უანასკნელი ყრილობის დელეგატს, მას აქვს რაიონულ, საქალაქო საბჭოებში საელექტორატო მუშაობის დიდი გამოცდილებაც.

სსრ კავშირის ორი სახალხო დეპუტატობის კანდიდატი დასახელეა ერთდროულად სხვადასხვა შრომითმა კოლექტივმა № 494 ბათუმის — ლენინიძის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში.

(დასასრული 3ე-4 გვ.).

გავზარდოთ გარდაქმნის ინტელექტუალური პოტენციალი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 6 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან. გადმოგცემთ შეხვედრის ანგარიშს.

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის სახელით მინდა გულითადად მოგესალმოთ, მოგილოცოთ ახალი წელი, გისურვოთ კეთილი მიღწევები ყველას ერთად და თითოეულს — ცალ-ცალკე.

ამ შეხვედრაზე — პირველ წლევანდელ შეხვედრაზე — მოვიწვიეთ ჩვენი სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები ერთი მიზნით: ვიხიუბროთ ქვეყნისათვის, საზოგადოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანზე, საზოგადოებისთვის, რომელსაც ახლა თავისი განვითარების პასუხსაგები ეტაპი დაუდგა. ახლანდელის მსგავსი შეხვედრები ჩვენში რეგულარული გახდა. ბევრი თქვენგანი მონაწილეობდა მათში. იყო შეხვედრები მუშებთანაც, გლეხებთანაც, მეცნიერების, კულტურის მთელი ფრონტის წარმომადგენლებთანაც; პრეზასთან, — იქნებ, ყველაზე ხშირი.

ყოველივე ეს პრაქტიკაში დამკვიდრდა, ტრადიცია გახდა. კმაყოფილი ვართ იმით, რომ ეს შეხვედრები ყოველთვის შინაარსიანი იყო, ყოველ მათგანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ ვიგებდით ამხანაგების აზრს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე, მათ წარმოდგენას მომავალზე, ყოველივე ამას ვითვალისწინებდით მუშაობაში. ეს შეხვედრები, ვიმედოვნებ, სასარგებლო იყო იმათთვისაც, ვინც მათში მონაწილეობდა.

ჩვენს ახლანდელ შეხვედრას ერთი ფრიად მნიშვნელოვანი თავისებურება აქვს. სიტუაციას, რომელშიც იგი მიმდინარეობს, ახასიათებს გარდაქმნის პროცესების ფართო გაჯანსება. ისინი ახლა უკვე მოიცავენ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, ეხება მილიონობით ადამიანს, მათ ინტერესებს. გარდაქმნა სწვდება ხალხის ცხოვრების ყველა ფენას, მან აამოძრავა უდიდესი საზოგადოებრივი ძალები, პოტენციალი, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს. იქნებ, ჩვენ მხოლოდ ახლა გვესმის ნამდვილად, თუ რა არის გარდაქმნა, და შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ სწორად ვუწოდეთ მას თავისებური რევოლუცია. მხოლოდ ახლა ვიწყებთ ნამდვილად პრობლემების სიახლის სიმწვავის და, რა თქმა უნდა, მომავალი მუშაობის უდიდესი მასშტაბის შეგრძნებას. ვხედავთ, თუ რა რთული პროცესები მიმდინარეობს საზოგადოებრივ შეგნებაში, ადამიანთა გონებაში. ყოველივე, რაც ახლა ხდება, ჩვენი ხალხის უაღრესად ცხოველ და მწვავე რეაქციას, უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს.

ბევრი რამ, რაც ხდება, გვაბარებს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აგრეთვე ვაღიაროთ, რომ ბევრი რამეც გვაწუხებს. ყოველივე ამაში უნდა გავერკვეთ, თანაც დროულად, და გამოვიტანოთ დასკვნები, გამოვიყენოთ გაკვეთილებად. საჭიროა გავიაზროთ მომხდარი, რათა ვიმოქმედოთ უფრო გულდაჯერებით, საქმის ცოდნით, წინ წავწიოთ გარდაქმნა, დღენიადაგ გვახსოვდეს, რომ მის წარმატებაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის, ჩვენი საზოგადოების ბედში. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ თქვენთან ერთად, საფუძვლიანი და სერიოზული სხა-ბაასი გვექნება.

მინდა შევეხო რამდენიმე საკითხს, რომლებსაც, ჩვენი აზრით, არსებობენ ეტაპი აქვს. სიტუაციას, რომელშიც იგი მიმდინარეობს, ახასიათებს გარდაქმნის პროცესების ფართო გაჯანსება. ისინი ახლა უკვე მოიცავენ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, ეხება მილიონობით ადამიანს, მათ ინტერესებს. გარდაქმნა სწვდება ხალხის ცხოვრების ყველა ფენას, მან აამოძრავა უდიდესი საზოგადოებრივი ძალები, პოტენციალი, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს. იქნებ, ჩვენ მხოლოდ ახლა გვესმის ნამდვილად, თუ რა არის გარდაქმნა, და შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ სწორად ვუწოდეთ მას თავისებური რევოლუცია. მხოლოდ ახლა ვიწყებთ ნამდვილად პრობლემების სიახლის სიმწვავის და, რა თქმა უნდა, მომავალი მუშაობის უდიდესი მასშტაბის შეგრძნებას. ვხედავთ, თუ რა რთული პროცესები მიმდინარეობს საზოგადოებრივ შეგნებაში, ადამიანთა გონებაში. ყოველივე, რაც ახლა ხდება, ჩვენი ხალხის უაღრესად ცხოველ და მწვავე რეაქციას, უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს.

ბევრი რამ, რაც ხდება, გვაბარებს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აგრეთვე ვაღიაროთ, რომ ბევრი რამეც გვაწუხებს. ყოველივე ამაში უნდა გავერკვეთ, თანაც დროულად, და გამოვიტანოთ დასკვნები, გამოვიყენოთ გაკვეთილებად. საჭიროა გავიაზროთ მომხდარი, რათა ვიმოქმედოთ უფრო გულდაჯერებით, საქმის ცოდნით, წინ წავწიოთ გარდაქმნა, დღენიადაგ გვახსოვდეს, რომ მის წარმატებაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის, ჩვენი საზოგადოების ბედში. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ თქვენთან ერთად, საფუძვლიანი და სერიოზული სხა-ბაასი გვექნება.

მინდა შევეხო რამდენიმე საკითხს, რომლებსაც, ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. და უწინარეს ყოვლისა დავიწყებ, ალბათ, თქვენთვის მოულოდნელად — ამ ბოლო ხანს გაშლილი დისკუსიების ხასიათით. ჩვენ მივესალმებით დისკუსიებს, და ამას მინდა ახლავე გავუსვა ხაზი. ჩვენი აზრით, ისინი უნდა გაგრძელდეს. სხვა საქმეა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავეუფლეთ დისკუსიების კულტურას, მაგრამ ვიმეორებ, მივესალმებით მათ, ჩვენ დისკუსიების მომხრე ვართ. იგი საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად გამოვავლინოთ და გავითვალისწინოთ საზოგადოებრივი აზრი. საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესები, მხარი დავუჭიროთ ყოველივე ახალს, მოწინავეს, რაც გარდაქმნას ჩვენს ცხოვრებაში შემოაქვს. ამავე დროს დროზე შევნიშნოთ ესა თუ ის ნეგატიური მოვლენა, შეცდომები, თავიდან ავიცილოთ მათი ზრდა.

ჩვენ ნაყოფიერი დისკუსიების მომხრენი ვართ. არ მინდა სიტუაციის დრამატიზება, მაგრამ ვიტყვი, რომ ახლანდელ დისკუსიებში ზოგიერთი რამ გვაწუხებს. დაწმენდეული ვარ, რომ უფლება არ გვაქვს დავრჩეთ გარეშე მეთვალყურეთა მდგომარეობაში, როგორიცაა, მაგალითად, გაისმის ხმები, გარდაქმნა ქაოსს, განუკითხაობას, განურჩევლობას იწვევსო. თითქოს იგი საფრთხეს უქმნიდეს ქვეყნის ნორმალურ განვითარებას, თითქოს ჩვენ უკვე დავნეულიყავით არა მარტო ამოცანების გადაწყვეტის მეთოდებისა და ხერხების შერჩევაში, არამედ თვით მიზნის არჩევაში, დასახვაში. ზოგზოგებს უკვე უნდებათ „ძველი კეთილი დროის“ ნოსტალგია, გაისმის ხმები, ქვეყანას „მტკიცე ხელი“ სჭირდებაო. ასეთი განწყობილებანი არა მარტო ემოციებისა და გრძნობების სფეროში იჩენს თავს, არამედ გარკვეულ ფილოსოფიურ და პოლიტიკურ მოსაზრებულობასაც კი იძენს.

უკანასკნელი ოთხი წელი დამაჯერებლად მოწმობს, რომ ჩვენი ხალხი მტკიცედ უჭერს მხარს გარდაქმნას, სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების განახლებას. და მაინც, ზოგი ცდილობს აქაც დათესოს ეჭვი, ზოგიერთ დისკუსიაში აყენებენ საკითხს, თითქოს სოციალიზმის გარდაქმნის ფარგლები ვიწრო იყოს. ნელ-ნელა გვაპარებენ აზრს. პოლიტიკური პლურალიზმის, მრავალპარტიულობისა და კერძო საკუთრების შესახებაც კი. თითქოს საქმე ეხებოდეს იმას, რომ გარდაქმნის მეშვეობით ვერ გამოვავლენთ სოციალიზმის პოტენციალს. ზოგერაც ერთ, ისე მეორე შემთხვევაშიც საქმე ეხება ურწმუნოებას ჩვენი წყობილებისადმი, ჩვენი ხალხის, პარტიის, ჩვენი სოციალისტური ინსტიტუტებისადმი.

არ შემიძლია არ ვთქვა ისიც, რომ საჯაროობის ნიღბით ცდილობენ იერიში მიიტანონ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაზე. იერიში მიიტანონ პარტიაზე, რომელმაც შეიმუშავა და შემოგვთავაზა გარდაქმნა, რომელიც დღეს მეთაურობს დემოკრატიზაციისათვის მუშაობას, სტიმულს აძლევს გარდაქმნის ყველა პროცესს ამ თავად განიცდის ღრმა განახლებას. ამავე დროს უმნიშვნელოვანეს გამაერთიანებელ, მაინტეგრირებელ როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ შემობრუნებითს ეტაპზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თვალსაზრისი — და დარწმუნებული ვარ, რომ იგი გამოთქვიან გაბატონებულ განწყობილებას ჩვენს საზოგადოებაში, — ასეთია: ამგვარი შეხედულებანი, იმის მიუხედავად, თუ რა სუბიექტური მიზეზები უძევს მათ საფუძვლად და რა გარემოებათა ზეგავლენით წარმოიშობა, ძირფესვიანად მცდარია და ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესებს, არსებითად გარდაქმნის წინააღმდეგ არის მიმართული.

პარტიას უტევს ის, ვისაც სურს ჩაშალოს გარდაქმნა, ვნება მიაყენოს მას. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გარდაქმნა ჩავიფიქრეთ და მას მთლიანად სწორად ვუძღვებით, და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ამ გზიდან არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავუხვიოთ. ამაშიც მტკიცედ ვარ დარწმუნებული. გარდაქმნა უაღრესად გვჭირდება.

რა თქმა უნდა, არ უნდა ვტკბებოდეთ წარმატებებით, არ ვაზიოდებოდეთ მიღწეულს. მაგრამ არც იმის საფუძველი გვაქვს, რომ საეჭვო გავხადოთ ჩვენი არჩევანი, საზოგადოების განახლების კურსი, არ არის პესიმიზმის, გულგატეხილობის და, მით უმეტეს, პახიკის საფუძველი. იგი კი თავს იჩენს ზოგიერთ დისკუსიაში. ჩვენ მტკიცედ და გულდაჯერებით უნდა ვიაროთ წინ, ფხიზლად ავწონოთ შექმნილი სიტუაცია, მკაფიოდ ვხედავდეთ პერსპექტივას.

საერთოდ ამხანაგებო, გარდაქმნის, საზოგადოებრივი ცხოვრების მოძველებული ფორმებისა და წინათ შექმნილი სტერეოტიპების მსხვრევის ბობოქარ პროცესში, დინამიკურ ცვლილებათა ატმოსფეროში უაღრესად საჭიროა საღად, რეალისტურად ეფასებდეთ მომხდარს. ხოლო უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — დიალექტიკურად ვუდგებოდეთ გარდამავალი პერიოდის ყველა პროცესს, სირთულეებს.

ეს პროცესი, როგორც უკვე ვთქვი, იოლად არ მიმდინარეობა. იგი ავლენს სულ ახალ და ახალ პრობლემებს, ზოლავსაც ფესვები წარსულში გაუდგამს, გვიჩვენებს მათს ჭეშმარიტ სიმწვავეს. მართლაც, მრავალი პრობლემის სიმწვავეს მხოლოდ დღეს ვხედებით. ძალიან გვიჭირს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დამუშავებაში მექანიზმის დაძლევა. აღიძვრება სულ ახალ-ახალი პრობლემები, რომლებსაც იოლად ვერ ვწყვეტთ. აქ შესაძლებელია შეცდომები, ხარვეზები, ჰოდა, ვისთვისაც ძვირფასი არ არის ხალხის ბედი, ვისაც გული არ შესტკივა ხალხისათვის, მას გარკვეული საზრდო ეძლევა. ამ ადამიანებს მხოლოდ თავიანთი „თვალსაზრისი“ გააჩნიათ — და მეტი არაფერი.

და მაინც, გარდაქმნა, თუმცა ძნელად და წინააღმდეგობრივად განუხრელად წინ მიდის.. ეს არის მიმდინარე პროცესების ტენდენცია: გარდაქმნა ძალას იკრებს და ლოგიკა და მტკიცე თანამიმდევრობა, ამიტომ, ეფიქრობ, უნდა უკუვაგდოთ ყოველგვარი სპეკულაცია, თითქოს არც კი ვიცოდეთ, საით მივდივართ და რას ვაკეთებთ, ყველანი აქტიურად უნდა ჩავებათ გარდაქმნის შემდგომ გაღრმავებასა და გაზრდაში, დასახული გეგმების პრაქტიკული რეალიზაციისათვის აღმშენებლობით მუშაობაში. ვფიქრობ, რომ ეს ერთადერთი სწორი დასკვნა იქნება.

ახლა საზოგადოებაში მიმდინარე დისკუსიების ცენტრში აღმოჩნდა სოციალურ-ეკონომიკური სფეროში შექმნილი სიტუაციის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხებიც. რა შეგვიძლია ვთქვათ ამის გამო? ამ ბოლო ხანს მოსახლეობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, მთელი რიგი მეცნიერები შექმნილი სიტუაციის მრავალ კრიტიკულ შეფასებას გამოთქვამენ. საქმე ეხება საქონლის, სურსათის ნაკლებობას, რიგებს, საბინაო პრობლემას, ნაკლოვანებებს მომსახურების სფეროში, კომუნალურ მეურნეობაცა და სხვა სფეროებში, რომლებიც ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება. და აქ მარტო ნაკლოვანებების კრიტიკა როდია. ადამიანები პირდაპირ უკავშირებენ ამას გარდაქმნას, ამბობენ, თითქოს იგი ჯერჯერობით არაფერს იძლევა ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, რომ მრავალძრივ სიტუაცია გაუარესდა კიდეც. საერთოდ საქმე ეხება ძალზე სერიოზულ საგნებს. და ყოველივე ეს გულმოდგინე და ღრმა ანალიზს, ობიექტურ, ალალ-მართალ შეფასებას მოითხოვს.

სინამდვილეში როგორ არის საქმე? ყველაფერი გაცილებით უფრო რთულია, ამხანაგებო, თუ საერთო სურათს ავიღებთ, ამასთან დაკავშირებით მინდა მოკლედ დავახასიათო ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში მიმდინარე პროცესები.

არ დავასახელებ სხვადასხვა დარგის განვითარების დამახასიათებელ მრავალ ციფრს. ვიტყვი მხოლოდ, რომ, ერთი მხრივ, გასული წელი თითქოსდა ურიგო მაჩვენებლებით არ დამთავრებულა. ეროვნული შემოსავლისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი უფრო სწრაფი იყო, ვიდრე წინა წელს და მეთერთმეტე ხუთწლედში. საკმაოდ წარმოფი აღმოჩნდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, რაც, როგორც გესმით, თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია.

თუმცა ნელი, — ჩვენ მთლიანად კმაყოფილი არა ვართ ყოველივე ამით, — მაგრამ ღრმა ცვლილებები ნელ-ნელა ეფექტორნიკაში, მანქანათმშენებლობაში. უკეთესობისაკენ იცვლება ყოველივე ის, რაც ეხება ფონდუკუგებას, ლითონტევადობასა და ა. შ. გაიზარდა, თუმცა არც იმდენად, როგორც ჩვენ გვინდა, მოსახლეობისათვის სასურსათო პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის წარმოება. საქონელბრუნვაც შარშან ისეთი ოდენობით გაიზარდა, როგორიც არ ყოფილა მრავალი წინა წლის მანძილზე. სწრაფი ტემპით მატულობს მოსახლეობის მომსახურების რეალიზაცია. ასე რომ, მოხმარების დონე, როგორც ინტენსიან, ნატურით გაიზარდა, მთ შორის სულადობრივი გაანგარიშებითაც.

გარდაქმნა პოზიტიურ გაელენას ახდენს სოციალური სფეროს განვითარებაზეც. ყველა სიძნელის მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ ხუთწლედი უკვე ჩამოყალიბებული იყო, ჩვენ გამოვძებნეთ სახსრები მედიცინისსთვისაც, განათლებისთვისაც, დამატებითი სახსრებიც საბინაო მშენებლობის ზრდისთვისაც. ამიტომ ვრძელდებოდა წინახდელთან შედარებით მეტი მოცულობით ბინების, სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, კლუბების, კულტურის სახლების ამოქმედება. ესეც ხომ უშუალოდ ეხება მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

გამოდის, რომ ყველაფერმა იმატა. მაგრამ თქვენ მისმენთ და, ცხადია, გებადებათ კითხვა: მაინც, სად არის ყველაფერი ეს? რატომ არის ისევ რიგები მაღაზიებში და მრავალი საჭირო საგნის დეფიციტი არ მცირდება?

აი, სწორედ აქ, ამხანაგებო, ვუახლოვდებით ეკონომიკაში ახლანდელი მდგომარეობის საკვანძო საკითხს — ფინანსურ მდგომარეობას, ფულის მიმოქცევას, ფულადი სახსრებისა და საქონლის შეწონასწორებას. სიტუაცია ერთბაშად არ წარმშობილა. ალბათ, ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც წარსულისაგან მივიღეთ, ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რომელსაც საგულდაგულოდ უმალავდნენ საზოგადოებრიობას, მაგრამ ფაქტობრივად იგი იყო. რა თქმა უნდა, დეფიციტი დამღუპველ გავლენას ახდენს მთელ სახალხო მეურნეობაზე. ქვეყანაში ფულის მიმოქცევაზე სერიოზული გავლენა მოახდინა სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში პრაქტიკულად გამოუშუშავებელი ფულის გადახდის უვარგისმა პრაქტიკამ. ამან კი კოლოსალური დაძაბულობა შექმნა სამომხმარებლო ბაზარზე.

საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მოსახლეობის ფულადი შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საქონლის წარმოება. ასეთი სიტუაცია მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია დიდ შეცდომებთან საინვესტიციო პოლიტიკაში, როცა სახსრები იჩქაჩებოდა მრავალრიცხოვან ობიექტებში, რამაც გამოიწვია სიმძლავრეთა ამოქმედების ვადების გაჭიანურება, ანელებდა საჭირო საქონლის წარმოების ზრდის ტემპს. გულახდილად გეტყვით, რომ ბევრი თანხა მოხმარდა ისეთი ობიექტების აგებას, რომლებიც უბრალოდ საჭიროებით არ იყო ნაკარნახევი.

დაშვებული იყო სტრატეგიული ხასიათის შეცდომებიც, როცა მრავალი ათწლეულის მანძილზე ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა სოფლის მეურნეობასაც, მსუბუქ და კვების მრეწველობასაც, მომსახურების სფეროსაც. უნდა ითქვას, რომ პრობლემების ზრდას ეკონომიკაში, განსაკუთრებით სამომხმარებლო ბაზარზე, ჩვენ ყველანი დიდი ხანია ვგრძნობდით, მაგრამ როგორ წყდებოდა პრობლემა? ნავთობის ფასების კონიუნქტურისა და მისი გაყიდვის მოცულობის გაზრდის ხარჯზე, ღვინო-არყის გამოშვების მატების ხარჯზე.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ შევძელით საქმის ვითარების გამოსწორება ფინანსურ მეურნეობაში და ფულის მიმოქცევაში. სიტუაცია მწვავდება კიდეც. ეს დაკავშირებულია მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების დაქვითებასთანაც, რის შედეგადაც 1985-1988 წლებში დაგვაკლდა 37 მილიარდი მანეთი. მკვეთრად შემცირდა ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვის ამონაგები და შემოსავალი, რომლის შედეგად ამავე პერიოდში ვერ მივიღეთ 49 მილიარდი მანეთი. თუმცა, ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება გამოითქმება. ზოგის აზრით, ეს ახლანდელი ხელმძღვანელობის შეცდომის შედეგია. ვფიქრობ, რომ ეს დაუსაბუთებელი ბრალდებაა. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ ზოგიერთ დამახინჯებაზე ამ გეზის განხორციელებაში, მაგრამ თვით გეზი სწორია. ამ შეცდომებს ფესვი გადგმული აქვს შორეულ წარსულში, როცა საქმის გამოსწორება ღვინო-არყის გაყიდვისა და ხალხის გალოთების გზით ხდებოდა. აბა, ნახეთ, ჩვენში ლოთობის ნიადაგზე სამართალდარღვევებიც და სიკვდილიანობაც შემცირდა, გაჯანსაღდა ვითარება ოჯახებში, საზოგადოებაში, წარმოებაში. ზოგი ამბობს, ქვეყანაში დისციპლინა შეირყაო. მოხაკვებები კი გვიჩვენებს, რომ მოცდენები, სამუშაოზე გამოუცხადებლობა ამ და სხვა მიზეზების გამო ამ ხნის განმავლობაში ერთნახევარჯერ შემცირდა.

ჩვენს დანაკარგებს, რა თქმა უნდა, უნდა დავუმატოთ გაუთვალისწინებელი გართულებანი, როგორიცაა ავარია ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში, ახლა ამას დაემატა სომხეთში მომხდარი მიწისძვრაც. რა დასამალია: დიდი მატერიალური ზარალი გვაქვს ავლანეთის სიტუაციასთან დაკავშირებითაც.

მაგრამ ვფიქრობ, რომ სურათის სისრულისათვის უნდა აღინიშნოს ჩვენი საკუთარი ხარვეზებიც. ჩვენ მაინც შეგვეძლო მეტი გაგვეკეთებინა, ვიდრე გავაკეთეთ, რათა უკეთესობისაკენ შეგვეცვალა სიტუაცია. მე უკვე ვილაპარაკე შრომის ნაყოფიერების ზრდის საკმაოდ სწრაფ ტემპზე. შარშანდელთან შედარებით იგი 5,1 პროცენტია. მაგრამ სხვა რამეც უნდა ვთქვა: შარშან ხელფასი 7 პროცენტით გაიზარდა, ე. ი. უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე შრომის ნაყოფიერება. თუ რა მოსდევს ამას, თავად გესმით.

ჩვენ ძალიან ნელა ვწყვეტთ საინვესტიციო პოლიტიკაში საჭირო კორექტივების შეტანის, კაპიტალურ მშენებლობაში წესრიგის დამყარების მოცანებს. პირდაპირ უნდა ვთქვა, თავდაპირველად საქმე დაიძრა, შემდეგ კი სისუსტე გამოვიჩინეთ. ამას, უწინარეს ყოვლისა, ცენტრალურ ხელმძღვანელობაზე ვამბობ, ჩვენ არათუ არ შევამციოთ დაუმთავრებელი ობიექტების რაოდენობა, არამედ მათი ზრდაც კი დავუშვით. ჯერჯერობით მატერიალური რესურსების მარაგი საწარმოებში დიდია, ეს კი სხვა არა არის რა, თუ არა ეროვნული შემოსავლის გამკვდარება. რა თქმა უნდა, ყოველივე იმის მიუხედავად, რაც ითქვა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქონლის გამოშვების ვეგმები არ შესრულებულა და მაინც არ გვყოფნის, თუ გავითვალისწინებთ ბაზარზე მწვავე სიტუაციას.

ვფიქრობ, ჩვენვე უნდა მოგვეწეროს ისიც, რომ ჯერჯერობით ხამდვილად ვერ ამუშავდა ეკონომიკური რეფორმა. ბოლომდე ვერ დავამსხვრიეთ ხარჯვითი ეკონომიკის მექანიზმები. მაინც ნელა — და ეს უნდა ვაღიაროთ — ვითვისებთ მეურნეობრიობის ეფექტიან მეთოდებს, უწინარეს ყოვლისა, იჯარაზე, სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე გადასვლას. ეს პროცესები საზოგადოებაში ჯერ კიდევ აწყდება წინააღმდეგობას. ბევრისთვის უჩვეულო გამოდგა ადამიანის მდგომარეობა წარმოებაში, საკუთრებასთან კავშირის ახალი ხასიათი. ჩვენ ხომ გვინდა დარტყმა მივაყენოთ ადამიანის გაუცხოებას წარმოების საშუალებებისაგან, მშრომელს გავუღვიძოთ ბატონ-პატრონის განვითარებული გრძნობა, გამოვავლინოთ მისი პიროვნული პოტენციალი.

საკითხთა მთელი ეს კომპლექსი წლის დამლევს ყველაზე გულმოდგინე განხილვის საგანი იყო პოლიტბიუროს ორი დღის სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მთავრობის წევრები, საგეგმო-საფინანსო ორგანოების, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. ვაპირებთ ეს სხა-ბაასი განვაგრძოთ 14 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, როცა წლის შედეგებს განვიხილავთ. ვცადეთ გვეპოვა დასაბუთებული პასუხი კითხვაზე, თუ როგორ მოვიქცეთ მომავალში, როგორ ვიმოქმედოთ ახლანდელ რეალურ სიტუაციაში იმისათვის, რომ აქტიურად დავამკვიდროთ ცხოვრებაში რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პრინციპები და დავძლიოთ ნეგატიური მოვლენები ჩვენს ეკონომიკაში.

ამასთან დაკავშირებით უნდა ვთქვა, რომ 1989 წელი ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებაში. მატერიალური წარმოების ყველა დარგი სრული მოცულობით გადადის სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე. ეს მარტივი ამოცანა როდია. ჰოდა, ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ საბოლოოდ დავძლიოთ ყველა დაბრკოლება, რომლებიც ხელს უშლის ეკონომიკაში გარდაქმნის პროცესების გაშლას.

ბევრი ვიფიქრეთ იმ მოვლენებზე, რომლებიც წარმოიშვა კოოპერაციული მოძრაობის, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებით. და, ალ თვალსაზრისითაც მოგზადებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი. ერთი მხრივ, ამის მიზანია ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი კოოპერაციულ მოძრაობას, მაგრამ ამავე დროს საჭირო დაბრკოლებანი შევუქმნათ დამახინჯებებს ამ მნიშვნელოვან საქმეში. აქ უფრო გონივრულად უნდა ვიმოქმაოთ. ჩვენ დავკარგეთ გამოცდილება, თუ როგორ ვაყარმოოთ საქმე კოოპერატორებთან. არადა, ეს გამოცდილება ხომ უდიდესი იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, საერთოდ რუსეთში. ომის შემდეგაც კი, როცა იყო მრეწველობა, ასეთი გამოცდილება გვქონდა. ახლა იძულებული გავხდით ყოველივე ეს გავიხსენებინა, უფრო მეტიც — გვემოგზაურა სოციალისტურ ქვეყნებში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, გვეხსნა, თუ როგორ მუშაობს კოოპერაციული მექანიზმი, როგორ მართავენ ამ პროცესებს.

საერთოდ, ყოველივე ამას ჩვენ, ამხანაგებო, გავაკეთებთ. საფუძვლიანად უნდა წავწიოთ წინ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაშლასთან დაკავშირებული პროცესები. აქ აგრეთვე მხედველობაში გვაქვს განვაორციელოთ მასტიმულირებელი ღონისძიებანი, რათა უპირატესობა მივანიჭოთ იმ შრომითს კოლექტივებს, რომლებიც მოღერნიზაციის გზას დაადგნენ. საწარმო, რომელიც ასე თუ ისე ებმება ახალი პროდუქციის, ახალი ტექნოლოგიის მოდერნიზაციისა და ათვისებაში, უფრო რთულ ვითარებაში ხვდება ეკონომიკური თვალსაზრისით. მაშასადამე, ჩვენს მექანიზმში ყველაფერი არ ყოფილა ბოლომდე მოფიქრებული. ახლა ვამზადებთ წინადადებებს ამ მიმართულებით. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენში არ არის დამუშავებული საგადასახადო პოლიტიკის მექანიზმი, რომელიც მოქნილად მოახდენდა რეგიონების ეკონომიკურ სიტუაციაზე, სტიმულს მისცემდა იმ დარგებს, სწორედ იმ სახეობის საქმიანობას, რომელიც გვჭირდება, და ბირიქით, დასჯიდა წამგლეჯობას.

კითხულობ ამ საკითხზე პუბლიცისტების თუ ეკონომისტების მასალებს, და ხედავ, რომ ყველა ავტორი მხცოვანი კრიტიკოსია, კონსტრუქციული წინადადებანი კი ცოტაა. ეს ჩვენი უბედურებაა, რაშიც ბრალს ვერავის დასდებ: ხანი არა ყოფილა ასეთი წინადადებების საჭიროება, არც სოციალური შეკვეთა ყოფილა. მაგრამ თუ გვიხდა უკეთ ვიცხოვრთო, უკეთ ვაწარმოოთ საქმე, მაშასადამე, უნდა ვისწავლოთ კონსტრუქციულად აზროვნება.

ცხოვრება მოწმობს, რომ უნდა დავაჩქაროთ გადასვლა საბითუმო ვაჭრობაზე, პირდაპირ კავშირზე საწარმოთა შორის. ჩვენი უპირველესი საზრუნავია საჭირო წანამძღვრები შევქმნათ აგრარულ სექტორში ეკონომიკური ურთიერთობის ძირეული გარდაქმნისათვის. ჩვენი აზრის არსი ამის თაობაზე იცით, და არ მინდა საკითხის დეტალიზება, მით უმეტეს, რომ ამ პრობლემებზე ს

გავზარდოთ გარდაქმნის ინტელექტუალური პოტენციალი

(გაგრძელება)

იმდენად მწვავედ დგას, რომ უნდა გადავხედოთ ჩვენი თავდაცვის ხარჯებს. წინასწარი შესწავლა გვიჩვენებს, რომ შეგვიძლია შევამციროთ ისინი ისე, რომ არ შევამციროთ სახელმწიფოს უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის დონე. ეს შეეხება სხვა სფეროებსაც. ჩვენ უნდა ვუპასუხოთ კითხვაზე: როდემდე უნდა ვაფინანსებდეთ ბიუჯეტიდან საწარმოთა ზარალიან მუშაობას?

საბჭოო ანგარიშით კი, „გარდაქმნის ბედი დამოკიდებულია შრომითი კოლექტივების, სამეურნეო კადრების, მთელი ჩვენი პარტიის საქმიანობაზე რადიკალური ეკონომიკური რეფორმის კურსის გატარებისათვის. დღეს პირველ პლანზე გამოდის კონსტრუქციული, აღმშენებლობითი მუშაობა. ეს ყველას უნდა გვესმოდეს, ამხანაგებო. მიტინგებზე უფრო მხიარულად ვართ, მაგრამ იმისათვის, რომ გარდაქმნა წინ მიდიოდეს, მთელი ჩვენი ინტელექტუალური ძალები უნდა მოვახმაროთ ყოველდღიურ მუშაობას.

განვლილი წელი, ალბათ, ჩვენს მეხსიერებასა და ისტორიაში დარჩება როგორც დემოკრატიზაციის პროცესების არა მარტო ფართო, არამედ ღრმა განვითარების წელი. ეს უკვეთრდება უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური რეფორმის განხორციელებაზე, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე რეალურ გასვლას. გამოგვაქვს რა გაკვეთილები წარსულიდან, ჩვენ ვქმნით იმის გარანტიას, რომ არ განმეორდეს ყოველივე ის ნეგატიური, რაც მომხდარა ჩვენს ისტორიაში და უდიდესი ზიანი მიაყენა სოციალიზმს, გამოიწვია მისი ჰუმანური პრინციპების დეფორმაცია და ამით მრავალი წლით და ათწლეულებით შეაფერხა წინსვლა. წარსულის გამოცდილებაც და ბოლო წლების გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ რევოლუციურ ცვლილებათა წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რეალურად არის ჩაბმული ხალხი ამ პროცესში. ამოცანას კი ვერ გადაწყვეტ, თუ საფუძველიანად არ მოახდინე პოლიტიკური სისტემის რეფორმა.

ჩვენ ფართო სოციალისტური დემოკრატიის პრინციპებზე ახალი შინაარსი, ახალი ხასიათი უნდა მივანიჭოთ ქვეყნის ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტის საქმიანობას.

როცა XIX პარტიული კონფერენციისათვის ვემზადებოდით, ჩვენ წინაშე, კაცმა რომ თქვას, არ მდგარა საკითხი, საჭიროა თუ არა გაუხსნათ გარდაქმნის კიდევ ერთი ფრონტი, დავამსხვრიოთ მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სტრუქტურა. ამასთან მხოლოდ თვით ცხოვრებამ მიგვიყვანა. ამიტომ, როცა გვეუბნებიან: საჭიროა თუ არა ხელი მოვკიდოთ ერთბაშად ამდენ საქმეს? — ეს აზრი შეიძლება სწორად მივიჩნიოთ მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ დაგვაწვა ერთდროულად მრავალი ამოცანის გადაწყვეტის ტვირთი. მაგრამ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ფიქრი იმაზე, რომ შეიძლებოდა გადაგვედო პოლიტიკური რეფორმა და სხვა ამოცანების გადაწყვეტა, რომ საჭირო იყო თავდაპირველად გადაგვწყვიტა ეკონომიკური საკითხები, დაგვეპურებინა ხალხი და ა. შ.

იქნებ გაუთვითცნობიერებელი ადამიანისათვის ეს მიმზიდველიც იყოს. მაგრამ საკითხის ასეთი დაყენება, პოლიტიკური და მეცნიერული თვალსაზრისით, მეტი რომ არ ვთქვათ, არასერიოზულია. ჩვენ ვერ. გადავწყვეტთ საჭირბოროტო ეკონომიკურ პრობლემებს, თუ ჩვენში არ ამუშავდება ზედნაშენი, თუ არ დავანგრიეთ მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სისტემა. მაგრამ, როგორ დავანგროთ? ზოგი გვთავაზობს გამოვიყენოთ 1937 წლის საკალენდარო გამოცდილება — „მივყარ-მოვყაროთ“, „ბულდოზერით გადავუაროთ“ და ა. შ. არა, ამას არასოდეს არ დავუშვებთ. ჩვენ უნდა შეექმნათ შექანიზმები, რომლებიც მოახდენენ თვითრეგულირებას, თანაც ყველა ამ პროცესში მთავარი მოქმედი პირის — ხალხის ჩაბმის საშუალებით. ეს ხომ ის არის, რის გულისთვისაც, კაცმა რომ თქვას, გამოვიდნენ მშრომელები ბარიკადებზე 1917 წლის ოქტომბერში, რათა ხელში აეღოთ ძალაუფლება და ხორცი შეესხათ მისთვის პრაქტიკულად.

არაფერი არ მოხდება ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, თუ ამავე დროს მტკიცედ არ განვახორციელებთ პოლიტიკური სისტემის ღრმა რეფორმირების ამოცანებს. უამისოდ ვერ გამოვავლენთ სოციალისტური დემოკრატიის პოტენციალს, ვერ ჩავაბამთ მთელ ხალხს გარდაქმნის პროცესებში. სწორედ ეს საკითხები — პოლიტიკური რეფორმის საკითხები — აღმოჩნდა XIX პარტკონფერენციის ყურადღების ცენტრში. ახლა, როცა საშუალება გვაქვს გარკვეული დროის განსვლის შემდეგ გონების თვალი გადავაელოთ და უკვე მშვიდად შევაფასოთ სიტუაცია, შეიძლება ითქვას, რომ კონფერენცია გარდამტეხი მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში. ჩვენი ისტორია, გარდაქმნის ისტორია, შეიძლება დავყოთ ორ ეტაპად — XIX პარტკონფერენციამდე და მის შემდეგ, რაც ხდება მის მიერ შემუშავებული პოლიტიკური დებულებების საფუძველზე.

ახლა, მე მგონი, ყველანი საერთო აზრს ვიზიარებთ კონფერენციის მნიშვნელობის შეფასებაში. მაგრამ, ჩემი აზრით ზედმეტი არ იქნება ამ მხრივ გავიხსენოთ ზოგი რამ. ხომ იყო გარკვეული მოძრაობა კონფერენციის წინ, როცა საკმაოდ ხმამაღლა გისმოდა ნმენი არა მის სასარგებლოდ. უფრო მეტიც, გვთავაზობდნენ — თანაც დაიხებიან — გადაგვედო კონფერენცია, რადგან მისი მოწყობა ღამის გარდაქმნის პოზიციების დათმობად მიაჩნდათ. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვით ცხოვრებამ უკუაგდო ეს საეჭვო განწყობილებანი და მოწოდებანი. კონფერენციის მოწყობის შედეგად გვაქვს მკაფიო პოლიტიკური დებულებანი, რომლებმაც მთელ ჩვენს გარდაქმნას მიანიჭა სხვა ტემპი, სხვა სიღრმე, ახალი დინამიკა. ასე რომ, ცენტრალური კომიტეტის გეზი სწორი და ნაყოფიერი გამოდგა. იგი მიიღეს პარტიამ და ხალხმა.

მართალია, საქმე არ შემოფარგლულა მხოლოდ ამ ერთი მომენტით. კონფერენციის შემდეგ, როცა დაიწყო მისი დებულებების პრაქტიკული რეალიზაცია, ჩვენ კვლავ წავაწყდით ასეთ სიტუაციას — ისევ გაისმა კრიტიკული განწყობილების ნაცნობი ხმები. ეკვი შეიტანეს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა, თანაც არც მეტი, არც ნაკლები, გადაუხვია კონფერენციის გადაწყვეტილებებს. და ისევ გაჩნდა წინადადება — გადაგვედო ახლა უკვე უმაღლესი საბჭოს სესია, რომელსაც უნდა მიეღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი პოლიტიკური რეფორმის პირველი ეტაპის თაობაზე. თქვენ იცით, რომ ამ შემთხვევაშიც ცენტრალური კომიტეტის პოზიცია ფართოდ დაუჭირეს მხარი საზოგადოებაში, ხოლო წინადადებანი, რომლებიც დაიხვეწა საყოველთაო-სახალხო განხილვის გათვალისწინებით, მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ.

რისთვის ვამბობ ყოველივე ამას, ამხანაგებო? არა მარტო ეს ეპიზოდები, არამედ გარდაქმნის მთელი გამოცდილებაც დამაჯერებლად ცხადყოფს პარტიის, როგორც გარდაქმნის იდეების გენერატორისა და მათი პრაქტიკული ხორცშესხმის გარანტის შეუცვლელ როლს. და როცა ამას ვამბობ, სრულიადაც არ მინდა რაღაც ვარდისფერი სურათი დაგიხატოთ. არა, პარტიის, როგორც პოლიტიკური ავანგარდის როლი, რა თქმა უნდა, რთული, წინააღმდეგობრივ სიტუაციაში, აზრთა ჭიდილში ხორციელდება. მინდა მხოლოდ გამოვთქვა ერთი, უმთავრესი აზრი — ძირფესვიან გარდაქმნათა ეტაპზე ჩვენ კიდევ მეტად გვჭირდება თეორიულად, იდეოლოგიურად, ორგანიზაციულად ძლიერი პარტია, რომელიც მოქმედებს ლენინური პრინციპებზე, ფართო შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე, რაც გულისხმობს დიალოგსაც, აზრთა დაპირისპირებასაც, ხალხის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობასაც.

სავსებით ლოგიკურია, რომ პარტია საკუთარი თავით უნდა იწყებდეს პოლიტიკური სისტემის გარდაქმნას. ჩვენ დავიწყეთ პარტიულ, სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებს შორის ფუნქციათა განაწილებით, ამასთან მიზნად ვისახავდით გამოგვევლინა პარტიის, როგორც პოლიტიკური ავანგარდის როლი და პოტენციალი, აგვეღორძინებინა საბჭოების, როგორც სახალხო ხელისუფლების ნამდვილი ორგანოების, თავდაპირველი ხასიათი. სწორედ ამ თვალსაზრისით მიმდინარეობს მთელი პარტიული ცხოვრების გარდაქმნაც, ძლიერდება არჩევითი ორგანოების როლი, იხვეწება პარტიული აპარატის სტრუქტურა, რაიკომებით დაწყებული და სკკპ ცენტრალური კომიტეტით დამთავრებული. სხვათა შორის, მიღებულია დადგენილება პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის 40 პროცენტით შემცირების შესახებ და ამ მიმართულებით მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გაწეულია. შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის კომისიები, შეიცვალა პარტიული აპარატის ფუნქციები: ისინი ორიენტირებული არიან პოლიტიკაზე.

მიმდინარეობს პარტიულ ორგანიზაციათა გაჯანსაღების აქტიური პროცესი. ჩვენ ვხედავთ, როგორ იზრდება ყოველთვიურად კომუნისტების ინიციატივა, მათი პრინციპულობა, მომთხოვნელობა, რა აქტიურად მონაწილეობენ დღეკვანდელ ახალ პირობებში გარდაქმნის ყველა საქმეში ბევრნი იმათგან, ვისაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ეგრეთ წოდებულ ბალასტს მიაკუთვნებდნენ.

უკვე დიდი ხანია პარტიაში არ ყოფილა ასეთი საანგარიშო-საარჩევნო კამპანია — როგორც ატმოსფეროს, ისე შინაარსის, გადაწყვეტილებათა განხილვასა და მიღებაში კომუნისტების აქტიურობის მიხედვით — არჩევითი ორგანოების ფორმირების დროს, რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე არ არის, როგორც გვინდა, მაგრამ სიტუაცია სრულიად სხვაგვარია. მიმდინარეობს კადრების განახლების პროცესი, თანაც ფართო დემოკრატიის პრინციპებით. საკმარისია ითქვას, რომ წინასწარი მონაცემებით, რაიონული და საქალაქო კომიტეტების შემადგენლობა დაახლოებით 60 პროცენტით განახლდა, ხოლო საოლქო და საშტაბრეო კომიტეტებისა — სანახევროდ და მეტად. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა არჩევითი პარტიული ორგანოების მდივნების რიგებში და ბიუროებში. პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების მესამედი პირველად არის არჩეული, მათგან ყოველი მეორე ალტერნატივულ საფუძველზე იირჩიე. ამ საფუძველზე არჩეულია პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების 1117 მდივანი, მთელი რიგი საოლქო კომიტეტების მდივნები, მათ შორის პირველი მდივნები. უნდა ითქვას, რომ ბევრ კონფერენციაზე სიტუაცია უაღრესად მწვავე იყო. დელეგატები დიდ მოთხოვნებს უყენებდნენ კანდიდატებს, და რიგ შემთხვევებში მდივნები, პირველი მდივნებიც კი, გაამავეს.

ჩემი აზრით, საანგარიშო-საარჩევნო კამპანია თავისი მნიშვნელობით გასცდა საერთო-პარტიული მოვლენის ფარგლებს. იგი თითქოს ახალ იმპულსს ანიჭებს ქვეყანაში მიმდინარე ყოველგვარ გარდამქმნელ პროცესებს. ეს იმ კამპანიის კარგი პრელუდიაა, რომელიც მიმდინარეობს სახალხო დეპუტატების — იმათი დასახელებისათვის, ვინც თავის პირველ ყრილობაზე უნდა მიიღოს უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი, ძირეული ცვლილებები შეიტანოს სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების ფუნქციონირების მექანიზმში და ამავე დროს განიხილოს 2005 წლამდე ეკონომიური და სოციალური განვითარების პერსპექტივები.

საერთოდ ახალი წელი ძალიან საინტერესო იქნება პოლიტიკური რეფორმის გაშლისა და გაღრმავების თვალსაზრისით. ჩვენ უნდა გადავიდეთ მის მეორე ეტაპზე — სახელმწიფო ორგანოების ძირეული გარდაქმნის, რესპუბლიკების, ავტონომიური ფორმირებების სტატუსის სრულყოფის, ცენტრსა და ადგილებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამყარების ეტაპზე. ამის გამო უნდა მივიღოთ დიდმნიშვნელოვანი კანონები, რომელთა მომუშავეებაში მონაწილეობენ ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები, ადგილების დამოუკიდებლობის გადიდებასთან და რეგიონალური სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე გადასვლასთან დაკავშირებით.

და ბოლოს, უკვე პირველი წაკითხვით განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის შესახებ კანონის პროექტი. იგი ჯერ-ჯერობით არ არის მზად ფართო განხილვისათვის, მაგრამ უკვე უახლოეს ხანში ეს მოხდება.

შემოდგომაზე გაიმართება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, ადგილობრივი საბჭოების არჩევნები და ჩამოყალიბდება ადგილობრივი ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ახალი სისტემა.

მრავალმხრივი მუშაობა მიმდინარეობს სამართლებრივი რეფორმის ფარგლებში. აქაც უკვე მზადდება და მალე წარდგება საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის პროექტები კანონებისა: მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ, ახალგაზრდობის შესახებ, სინდისის თავისუფლების შესახებ, კანონი საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შესახებ და სხვები. რაც შეეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ კანონს, ჩემი აზრით, იგი საჭიროა და კარგი ბაზა უნდა გახდეს იმისათვის, რომ პრესამ მეტი გულდაჯერებაც იგრძნოს და მეტი პასუხისმგებლობაც.

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, რა საკითხსაც უნდა ვიხილავდეთ, მარტოოდენ ფაქტების კონსტატაციას ვერ დავჯერდებით. უნდა ვხედავდეთ საერთოდ პროცესის დიალექტიკას. სურათის მთელი წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, იგრძნობა, რომ გარდაქმნის პროცესები ძალას იკრებს, სულ უფრო მეტად ავლენს ცხოვრების ყველა სფეროს განახლების ტენდენციას. ეს ტენდენცია მტკიცდება და, რაც მთავარია, ფართო მხარდაჭერას პოულობს. ჩემი აზრით, პარტიის, ყველა პოლიტიკური, საზოგადოებრივი ინსტიტუტის, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის ამოცანა ის არის, რომ ხელი შეუწყონ ამ პროცესების განვითარებას.

თავისი მასშტაბით, მოცულობით და სიღრმით უმაგალითო გარდაქმნის პროცესები ორგანულად უკავშირდება სერიოზულ ძვრებს საზოგადოებრივ შეგნებაში. გარდაქმნის პროცესების წინააღმდეგობრიობა, მათი აღქმის სირთულეა და არაერთგვაროვნებაზე, ადამიანთა ინტერესებზე გამრავლებული, ჩვენი დროის რეალობაა. საზოგადოებრივი შეგნებაც განიცდის გარდატეხას, რაც იმის ადეკვატურია, თავად ცხოვრებაში რომ ხდება. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციური ცვლილებები, რომლებსაც გარდაქმნა ისახავს მიზნად, შეუძლებელია საზოგადოებრივ შეგნებაში, ადამიანთა ფსიქოლოგიასა და აზროვნებაში რევოლუციის გარეშე. ამაში შეუცვლელია, უნიკალურია ჩვენი საცდელიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის როლი და, მაშასადამე, პასუხისმგებლობაც.

მე ვიტყოდი, რომ აქ საქმიანობის ასპარეზი არათუ არ ვიწროვდება, არამედ დღენიადაგ ფართოვდება. საქმე ეხება იმას, რომ უნდა გავაღრმაოთ ჩვენი თეორიული გამოკვლევები, რომლებიც ეხება სოციალიზმზე, უდიდესი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტის — ჩვენი საზოგადოების თვისებრივად ახალ მდგომარეობაზე გადასვლის გზებზე ჩვენი წარმოდგენის ჩამოყალიბების საკითხებს.

ჩვენ გარდაქმნის წარმატების იმედი არ უნდა ვიქონიოთ, თუ არ გაიზრდება მეცნიერული ცოდნა და მეცნიერების წვლილი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში. არ მინდა გამოვყო ცოდნის ესა თუ ის დარგი. ჩვენ უნდა გავავითაროთ საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური მეცნიერებანიც, განსაკუთრებით ფუნდამენტური გამოკვლევები. მოგველის დიდი მუშაობა, რადიკალური რეფორმა სახალხო განათლების სფეროში. იგი ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს ცხოვრებას, საზოგადოების გაჯანსაღებას.

როცა პრაქტიკულად ვახორციელებთ მაღალი ინტელექტუალური და ზნეობრივი ღირებულებების საფუძველზე ჩვენი საზოგადოების გაჯანსაღებას, ვერაფერს გავბედავთ ისე, თუ უდიდეს მუშაობას არ გავწევთ სულიერ სფეროში. გარდაქმნა ყველაფრის ცენტრში აყენებს ადამიანს. ახლა განსაკუთრებით საჭიროა გამოვიყენოთ ყველა ჩვენი კულტურული მიღწევა და გავამდიდროთ იგი ახალი შეხედულებები.

გარდაქმნის კულტურული ფენა ვაკუუმში, ცარიელ ადგილას როდი იქმნება. ამის თითქოს ასაზრდოვებს ყოველივე ის, რასაც მიაღწიეს ჩვენმა ხალხებმა, ჩვენმა საზოგადოებამ მთელი მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე, რევოლუციის შემდეგ უკანასკნელი 70 წლის მანძილზე. ამასთან დაკავშირებთ ფართო ფრონტით უნდა გავშალოთ საკუთარი ისტორიის გარდა ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ისტორიას მივმართოთ იმისათვის, რომ აღვიქვათ ხალხის ყველა საუკეთესო მიღწევა და ამასთან გავიცნობიეროთ მწარე გამოცდილება, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ შეცდომები.

უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ საზოგადოების სულიერი ცხოვრება, ალბათ, არასდროს არ გამოირჩეოდა ჩვენში ასეთი აქტიურობით, დაინტერესებით, მასში არა მარტო იტელიგენციის, არამედ მთელი ხალხის ცოცხალი მონაწილეობით, ფორმების მრავალფეროვნებით. ცხოვრებაში დამკვიდრდა მრავალი ახალი, საინტერესო რამ, რაც განამტკიცებს ადამიანის ზნეობას, აღამაღლებს მას. ეს ყველაფერი ასეა, და ეს არის ჩვენი დიდი აქტივი, გარდაქმნის უდიდესი მონაპოვარი, მაგრამ ეს ღრმა, მასშტაბური პროცესები, ისევე როგორც სხვა სფეროებშიც, ადვილად არ მიმდინარეობს, ზშირად საწინააღმდეგო ხასიათისაა და, პირდაპირ ვიტყვით, ისეთი მოვლენებიც მოჰყვება, რომლებიც ჩვენს წუხილსა და შეშფოთებასაც კი იწვევს.

მძაფრმა პროცესმა, რომლის დროსაც უკუვაგდებთ საზოგადოებრივი განვითარების გაქვავებულ დოგმებსა და სქემებს, საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყაყებული ფორმების გარდაქმნამ, ხალხის უდიდესი პოტენციური ძალის გამოთავისუფლებამ საჯაროობისა და დემოკრატიის მეშვეობით, ზოგი წონასწორობიდან გამოიყვანა, დააბნია. გაისმის ხმები, რომ დაირღვა სულიერი და ზნეობრივი ღირებულებანი, თუმცა, მე მგონი, საქმე სწორედ მათს აღორძინებას ეხება. ზოგჯერ იმასაც კი გაიგონებ, ლამისაა გადაეუხვიოთო სოციალისტურ პრინციპებსა და იდეალებს. ქარაგმულად გვეუბნებიან, სამეურნეო ანგარიში, ყოველგვარი იჯარა და კოოპერაცია ლამის სოციალიზმის პოზიციების დათმობაო ეკონომიკაში, თუმცა სწორედ ამ და სხვა ფორმებით მეშვეობით გვინდა გამოვიყენოთ უდიდესი პოტენციალი, რომელსაც შეიცავს სოციალისტური საკუთრება, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა, დაძლიოთ გაუცხოება, დავუბრუნოთ ადამიანს წარმოების ბატონ-პატრონის მდგომარეობა.

არის ცდებიც, როცა უბრალოდ გვაშინებენ იმით, თითქოს გარდაქმნამ პრობლემები და სიძნელეები წარმოშვა ეკონომიკაში, სოციალურ, ეროვნებათაშორის ურთიერთობაში. მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ ყოველივე ეს წარსულისაგან არის მიღებული მემკვიდრეობად, გროვდებოდა წლების მანძილზე, და გარდაქმნამ მხოლოდ წარმოაჩინა ძველი სენი, რომელსაც წინათ მალავდნენ. ასე რომ, თუ ვილაპარაკებთ გარდაქმნისა და ამ მტკივნეული პრობლემების კავშირზე, მე მგონია, მხოლოდ იმ აზრით, რომ გარდაქმნა საშუალებას გვაძლევს შევიგნოთ, გავიგოთ ამ პრობლემების მიზეზები და გამოვძებნოთ მათი გადაწყვეტის საშუალებანი.

რა თქმა უნდა, გარდაქმნის პროცესებზე ცდილობენ პარაზიტობასა და სპეკულიანტებს ექსტრემისტები, ყველა ჯურის უპასუხისმგებლო ელემენტები. ეს არის, და ჩვენ ამას ვხედავთ. მაგრამ ეს იმის საბაბად არ გამოდგება, რომ საეჭვო გაგხადოთ გარდაქმნა, ან იმისათვის გამოვიყენოთ, რომ ჩაერთოთ მუზრუკები, შეგაჩეროთ გარდაქმნის პროცესი. გაისმის გამონთქვამებიც, რომლებშიც სურთ საერთოდ გარდაქმნა წარმოადგინონ რაღაც დესტრუქციულად, რომლის მიზანია ყოველივესა და ყველაფრის ნგრევა. თუ ეს ზედმეტი ემოციურობისა და ავადმყოფური წარმოსახვის შედეგია, მაშინ ამის გაგება შეიძლება. მაგრამ თუ ამის მიღმა იფარება პოლიტიკური პოზიცია, ეს პოზიცია უნდა უკუვაგდოთ, როგორც მიუღებელი.

მაგრამ ასევე მიუღებელია მეორე უკიდურესობაც — გარდაქმნის მიმდინარეობისა და მიმართულების შეფასება ცრუმემარცხენელი პოზიციებიდან. ჩვენ გარდაქმნის ხელოვნური წაბიძგების ცდების, გარდაქმნის ტემპის დაჩქარებისათვის, ეტაპებზე გადახტომისათვის ყოველგვარი მოწოდების წინააღმდეგი ვართ. განსაკუთრებით საშიშად მიგვაჩნია ავანტიურისტული და უპასუხისმგებლო მოწოდებანი, რომ გავამწვავოთ ბრძოლა და ხელოვნურად გავაღვივოთ ვნებები, დავფერთხოთ კაცრები სწორედ იმ მეთოდების გამოყენებით, რომელთა თავიდან მოშორებას ვაპირებთ გარდაქმნის მეშვეობით, ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაციის მეშვეობით.

ჩვენი ხალხი არასდროს არ დათანხმდება — ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული — წარსულისადმი, ყოველივე განცდისადმი, გაკეთებულისადმი, წინამორბედი თაობების ცხოვრებისადმი ნიპილისტურ დამოკიდებულებასაც. ასეთი ფილოსოფიური თვალსაზრისისადმი მიდგომა სხვა არაფერია, თუ არა ხალხის მიერ მთელი წინა გამოცდილებისა და მიღწეულის პირწმინდად უარყოფა, ისტორიის აზრის გაუგებლობა, განვითარების დიალექტიკის მიუღებლობა, რომლის დროს ყოველთვის გამოიყენება წარსულიდან ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ახალი შენობის მშენებლობას, და უარყოფილია ყველაფერი, რაც ბოჭავს ხალხის ისტორიულ საქმიანობას.

დიახ, ჩვენთვის წარსული გამოცდილებიდან ბევრი რამ არის მიღებული — დეფორმაციები, სოციალიზმის ავტორიტარულ-ბიუროკრატიული დამახინჯებანი, სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების ორგანიზაციის ისეთი ფორმები, რომლებიც ახშობენ ხალხის ინიციატივას, აუცხოებენ მას ცხოველმოქმედების ყველა სფეროში, აკნინებენ პიროვნების ღირსებას. მაგრამ ჩემთვის მიუღებელია იმის შესახებ მსჯელობის მეცნიერულობის პრეტენზიებიც, რომ ვერ გაამართლა სოციალიზმმა“, „ჩაიშალა ექსპერიმენტი“, რომ სოციალიზმი ლამის განუყოფელია წარსულში არსებული დეფორმაციებისაგან.

ამიტომ ჩვენთვის თანაბრად მიუღებელია ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარების გზების უახლესი რეცეპტები, რომლებიც შედგენილია ნასესხები ღირებულებებით. ეს უკვე გარდაქმნა აღარ არის. ჩვენ ხომ მისი მეშვეობით ვაპირებთ გამოვავლინოთ სოციალიზმის პოტენციალი, ახალი თვისება მივანიჭოთ ჩვენს საზოგადოებას. ხოლო რასაც ჩვენ გვთავაზობენ, სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ არ სწამთ ჩვენი ისტორიული არჩევანი, სოციალიზმის იდეალებისადმი ჩვენი ხალხის ერთგულება და ხალხის უნარი ააღორძინოს საზოგადოები ლენინურ პრინციპებზე, ნამდვილად სოციალისტურ ღირებულებებზე.

საერთოდ, როგორც ვხედავთ, გარდაქმნის კრიტიკა „მარჯვნიდან“ კონსერვატიული პოზიციებიდან, და მასზე თავდასხმები „მარცხნიდან“, საბოლოო ანგარიშით, ერთმანეთს უკავშირდება. ჩვენ რომ გავყვეთ როგორც ერთ, ისე მეორე მოწოდებებს, გამოვა, რომ უნდა ვიაროთ არა ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებული გზით, ვიაროთ არა წინ, არამედ დავბრუნდეთ უკან. არსებითად ხომ ეს როგორც ჩვენი სოციალისტური არჩევნის, ისე გარდაქმნის აზრისა და დანიშნულების უარყოფაა. ყოველივე იმის გათვითცნობიერებაში, ჩვენი წინსვლის პერსპექტივების გაგრძელებაში, გაგებაში უდიდესია როგორც პარტიის, ისე საზოგადოების მთელი ინტელექტუალური ძალების, ჩვენი სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის პასუხისმგებლობა, რომლის ხმას ყურად იღებენ, რომლის ავტორიტეტს ანგარიშს უწევენ.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სრულიად არანორმალური ურთიერთობა, რომელიც ჩამოყალიბდა შემოქმედი ინტელიგენციის გარემოში. ზოგიერთი ფრიად პატივცემული ამხანაგი ჩაება ანგარიშის გასწორებაში, ურთიერთბრალდებებში, ხელიდან არ გაუშვებენ უმცირეს საბაბს, ოღონდ ერთმანეთი წარმოადგინონ უბადრუკი სახით. თანაც ყოველივე ეს გამოტანილია ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რაც ხალხს არა მარტო გულიტკივილს, გაოცებას, არამედ უბრალოდ აღშფოთებას იწვევს. და ეს ხდება გარდამტეხ სიტუაციაში, როცა საჭიროა უდიდესი აღმშენებლობითი ამოცანების გადაწყვეტა.

ის, თუ რას ამბობენ და რას ფიქრობენ ამის თაობაზე მუშები, ჩანს ამასწინანდელი გამოხმაურებიდან მოსკოვის ქარხანა „კალინინში“. ხალხი გაოცებულია და ამბობს: სირცხვილი გვწვავს ზოგიერთი ჩვენი მწერლისა თუ მეცნიერის მაგივრად, რომლებიც გვიყვარს და რომლებსაც პატივს ვცემთ. მოდით, შევთანხმდეთ ამ თათბირზე: გვერდზე გადავდოთ ამბიციები, ვიფიქროთ ხალხზე, ქვეყანაზე.

ახლა, როცა დიდი ახალი საქმეების უზარმაზარი ტვირთი დაგვაწვა, განსაკუთრებით საჭირო ჩვენი ძალების კონსოლიდაცია, მათი მაქსიმალური თავმოყრა გარდაქმნის პარტლემათა გადაჭრისათვის. ერთხელ კიდევ ვიტყოდი — აღმშენებლობითი მუშაობისათვის. ჩვენ მხარს ვუჭერთ კონსოლიდაციას არა ნებისმიერ ფასად, არამედ პრინციპულ საფუძველზე, სოციალისტურ საფუძველზე, გარდაქმნის მხარდაჭერის საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი საზოგადოების გაჯანსაღას, სოციალიზმისათვის ნამდვილად სიტუაციას, ხელს უშლიდა ეროვნებათშორისი ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას.

მაგრამ, ალბათ, მაინც იმის ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული მიზეზი, რომ დღეს მრავალ შემაშფოთებელ მოვლენას წავაწყდით ეროვნებათშორის ურთიერთობაში, ის არის, რომ რომელიღაც ეტაპზე გული დავიარხეინეთ, გვეგონა, რომ ყველა საკითხი დაგაწყვეტილია. წინადადებაც კი იყო, შეედგომოდით ერთა პრაქტიკულ შეერწყმას. ერთ დროს დიდი გაჭირვებით მოვახერხე წინააღდგომოდი ზოგთა გასწავლულ კაცთა შემოტევას, რომლებიც ცდილობდნენ ამჟამად მოქმედ პარტიულ პროგრამაში შეეტანათ ეს საშიში დებულება.

გარდაქმნამ ალაც დაგვანახვა რეალური სურათი. რეალობათა ეს ცოდნა კი ახლა გვეხმარება ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების, მათი ეკონომიკის, ენისა და კულტურის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის სწორი გზების მოძებნაში. თუმცა, ეს პროცესი ხშირად წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. უწინარეს ყოვლისა ეს კვლავ და კვლავ უკავშირდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნებათშორისი ურთიერთობის ასახვის სირთულეს.

ვფიქრობ, აქ ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ წარმოვაჩინოთ და განვავითაროთ ყოველივე პოზიტიური, რასაც გარდაქმნის დროს გვთავაზობენ ეროვნებათშორისი ურთიერთობის ჰარმონიზაციის მიზნით. ამ თვალსაზრისით მინდა მხარი დავუჭირო ჩვენი მეცნიერების, შემოქმედი ინტელიგენციის პასუხისმგებელ და კონსტრუქციულ წინადადებებს, ადამიანთა ურთიერთობის ამ სფეროს რომ ეხება.

დიახ, ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში ვხელმძღვანელობთ იმით, რომ გარდაქმნის წარმატება გადაწყვეტილებად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოიხსნება და გადაწყდება დაგროვებული პრობლემები, რა იმპულსებს მიიღებს საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ხალხების ძმობა. სწორედ ამით არის ნაკარნახევი ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პლენუმის მოწყობა, რომლის სამზადისი უკვე ფართო ფრონტით მიმდინარეობს. ჩვენ ველით სერიოზულ და გააზრებულ წინადადებებს ყველა რესპუბლიკიდან, მეცნიერული, შემოქმედებითი ორგანიზაციების, საზოგადოებრიობისაგან. ჩვენ მივესალმებით ყველა წინადადებას, რომელთა მიზანია ეროვნებათშორისი ურთიერთობის ჯანსაღად, ლენინურ ნორმებზე დაყენება, ეროვნული ეგოიზმის, ნაციონალიზმის, ეროვნული ბოროტებების ფესვებამდე ამოძირკვა. ჩვენ, და არა მარტო ჩვენ, უნდა შევიგნოთ, ერთ-ერთ ეროვნულ ბოროტებად ეროვნული ბოროტებაც, ეროვნული ეგოიზმიც, მოძველებული შეხედულებანი, ეროვნული ბოროტებანი, ეროვნული ეგოიზმიც, ეროვნული ბოროტებაც, ეროვნული ეგოიზმიც

გავზარდოთ გარდაქმნის ინტელექტუალური პოტენციალი

(გაგრძელება)

ძალისმიერი პოლიტიკის ხანა, როცა ერთი ქვეყნის შეხედულებებს თავს ახვევდნენ მთელ მსოფლიო გაერთიანებას, აღარ დაბრუნდება. რაც უფრო სწრაფად შეგნებს ამას მსოფლიო გაერთიანების ყველა წევრი, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის. ხელი შევწყოთ ამას — ეს ჩვენი საერთო ამოცანა, ჩვენი საერთო მოვალეობაა.

▼ ▼

 აი, ამხანაგებო, ზოგიერთი მოსაზრება, რომლებიც მინდოდა გამომეთქვა ჩვენი შეხვედრის დაასწყისში. ვიმედოვნებ, რომ გვექნება საფუძვლიანი აზრთა გაზიარება, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ამით ძალიან ვართ დაინტერესებული.

▼ ▼

შემდეგ გამოვიდნენ შეხვედრის მოხაწილე მეწიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **გ. ი. მარჩუკმა** თქვა, რომ აკადემიაში გარდაქმნა მას შემდეგ დაიწყო, რაც შეიცვალა საკადრო პოლიტიკა, რომელიც უნდა დაკავშირებოდა ცხოვრების მიერ წამოყენებულ ახალ ამოცანას. ფაქტობრივად ბოლო დროს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში 250 დირექტორიდან დაახლოებით 150 დემოკრატიული გზით აირჩიეს. საქმიანობას შეუდგა ჟურნალების 100 ახალი მთავარი რედაქტორი. დემოკრატიზაცია ხდება ყველა ჩვენს რგოლში, იცვლება მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის სტილი.

წინათ საზოგადოებრივი მეცნიერებანი უკანა პლანზე იყო და საზოგადოებათმცოდნეებს კომენტატორების როლი ეთამაშოდათ. ყველაზე ცუდი ის არის, რომ არ მომზადდა ახალგაზრდა ცვლა, რომელიც უფრო აქტიურად წარმართავდა გარდაქმნას. ახლა საზოგადოებრივი მეცნიერებანი, განსაკუთრებით ეკონომიკა და სოციოლოგია, გამოცოცხლდა. საჭიროა გადაწყვეტილებები ფსიქოლოგიის, ეთიკის, საზოგადოების განვითარებისათვის საჭირო სხვა მეცნიერებების განვითარების თაობაზე. საბუნებისმეტყველო მიმართულების მეცნიერებებს თუ ავიღებთ, აქაც არის უძრაობის ხანიდან გადმოსული ბევრი პრობლემა, როცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ეძლეოდა სწორი შეფასება მეცნიერებისა და მეცნიერთა როლს საზოგადოების ცხოვრებაში.

შემდეგ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აღნიშნა პრობლემები მეცნიერთა და პრესის ურთიერთობაში, ქმაყოფილება გამოთქვა იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გაზეთის „ნაუკა ი ჟიზნიაა შკოლას“ ორგანოსაციის თაობაზე. ეს გაზეთი მეცნიერთა ტრიბუნა იქნება. იგი შესაძლებელს გახდის იმას, რომ საზოგადოებამ მიმდინარე მოვლენების სწორი და დროული მეცნიერული შეფასება მიიღოს.

შემდეგ გ. ი. მარჩუკი შეეხო საკავშირო აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ძალისხმევის ინტეგრაციის საკითხს.

გარდაქმნის პროცესში გადასაჭრელი კიდევ ერთი პრობლემა, თქვა მან, უკავშირდება იმ დიდი უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციას, რომლებიც მოჰყვა 20 წლეზე მეტი ხნის წინათ მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან 103 ინსტიტუტის გაძოყოფას — ეს ინსტიტუტები განეკუთვნებოდა ტექნიკური მეცნიერებების, მათ შორის გამოთვლითი ტექნიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის სფეროებს.

ახლა ახალ სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ, იქმნება ახალი პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას იმის მეშვეობით, რომ მეცნიერები აქტიურად ჩაებან სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილებათა მიღებისა და კონტროლის საქმეში. საამისოდ საჭიროა ჩვენს საკანონმდებლო ორგანოებში ავირჩიოთ მეცდნე, პროფესიონალი და გარდაქმნის საქმის ღრმად ერთგული ადამიანები.

ძალზე დროული შეხვედრაა, თქვა მწერალმა **ბ. ი. ოლეინიკმა.** ჩვენ, თქვა მან, დისკუსიის კულტურას, როგორც იტყვიან, გზადაგზა ვსწავლობთ. რას იზამ, ჩვენი დროის შვილები ვართ.

ამჟრეულ შუღლს ერთად უნდა მოვუღოთ ბოლო, რადგან სახელმწიფოში იმდენი პრობლემაა, რომ დროის, ენერგიისა და ქაღალდის ხარჯვა საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად არ ღირს. უწინარეს ყოვლისა ვლაპარაკობ საკუთარ თავზე, როგორც პარტიის წევრზე. ჩვენ პირადი მაგალითით უნდა ვუჩვენებდეთ სხვებს, რა არის გარდაქმნა და როგორ უნდა ვიმუშაოთ ერთად გარდაქმნის დროს, რომელსაც ლეტარტატივა არა აქვს.

შემდეგ ორატორი ეროვნებათშორეს ურთიერთობას შეეხო, უკრაინაში, თქვა მან, ეს პრობლემები კონსტიტუციულ კალაპოტში მოექცა, თუმცა „ამოვარდნებიც“ არის. მაგრამ არსებითად ყველამ იცის, რომ მხოლოდ ძმური გაერთიანება აძლევს ყოველ რესპუბლიკას სახელმწიფოებრიობის გარანტიას, სახელმწიფოებრიობისა, რომელიც ზოგიერთმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წყალობით მიიღო.

რსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ს. ვ. ზალიგინი:** გარდაქმნა საზოგადოების მთელი ძალების, მათ შორის ლიტერატურის მოღვაწეთა კონსოლიდაციასაც მოითხოვს. მაგრამ, ორატორის აზრით, ეს ჟურნალ-გაზეთების ყველა ხელმძღვანელს როდი ესმის. მთლიანად ეთანხმები, თქვა მან, ჭარხანა „კალიბრის“ მოშუბს და შემიძლია მარტო ეს ჭარხანა არ დავასახელო. მე ხშირად მიწევს მკითხველებთან შეხვედრა და მათ კითხვებზე პასუხის გაცემა. როგორ ესახებათ დღეს ადამიანებს მწერალი? დღეს ხომ ჩვენს ჟურნალებში, გაზეთებში ერთი და იგივე ლიტერატორებს უკიკინებენ. იბადება კითხვა, ვის სჭირდება ეს? რამდენიმე კონკრეტული მაგალითით, კერძოდ, ჟურნალების „ოგონიოკისა“ და „მოსკვას“ ორი ნომრის მაგალითით, ორატორმა ცხადყო ლიტერატურული დისკუსიების, მთელი რიგი შეფასებების ირაციონალურობა.

მისი აზრით, დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოქმედებითი დისკუსიების დაკარგული ეკლესიურის აღდგენა. ამ თვალსაზრისით რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირსაც მართებს მეტი პარტიულობის გამოვლენა.

ვ. ბ. გორბაჩოვი: სერგე ვლადიმერის ძეე, იქნებ ჩვენმა ლიტერატორებმა ცალმხრივი განიარაღების პრინციპის მიმართონ? (გამოცოცხლება. ტაში).

გარდაქმნა ბალტიისპირეთში, თქვა თავის გამოსვლაში პოეტმა **ი. ი. პეტერსმა,** ამ რეგიონის ხალხებისათვის იგივე გზაა, რაც ამ რესპუბლიკებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია იყო. ტუუილად როდი ამბობენ ჩვენში, რომ ბალტიისპირეთში ახლა სოციალიზმის რწმენის აღორძინება ხდება. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ამას უნდა მოვუფიქრდეთ. ამისთან დაკავშირებით ორატორმა ცენტრალური გაზეთების მისამართით გამოთქვა სურვილი, რომ მათ, მისი აზრით, უფრო ობიექტურად უნდა შეაფასონ ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესი. დღეს რიგაში მოწვეულმა ერთმა პატივცემულმა პოეტმა მკითხა: „შეიძლება კი იქ ლექსების რუსულად კითხვა?“ მიხდა დაგარწმუნოთ, განაცხადა ორატორმა, რომ ხალხი ჩვენს რესპუბლიკაში ძალიან ზუსტად ერკვევა, ვინ რას ფარმოადგენს მისი ეროვნების მიუხედავად. კონფლიქტი, ვთქვათ, ლატვიელებსა და რუსებს შორის, ლატვიაში არ არსებობს, არის მხოლოდ კონფლიქტი გარდაქმნის მონაწილეებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის.

ი. პეტერსმა თავის გამოსვლაში ქალაქ ვენტსპილსის ტკოლოგიური მდგომარეობის პრობლემა აღძრა. ორატორი აგრეთვე შეეხო მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცების პრობლემას. ჩვენი მოთხოვნა სუვერენიტეტის თაობაზე, განაცხადა მან, ძლიერი ცენტრის მოთხოვნის ტოლფასია. ვინაიდან იგი ვერანაირად ვერ ჩამოყალიბდება სუსტი რესპუბლიკებისაგან — ძლიერი ჯამი ხომ წვრილ-წვრილი შემადგენელი ნაწილებისაგან ვერ გაჩნდება. თუ რესპუბლიკებში მთელი ძალაუფლება საბჭოებს ექნებათ, სწორედ მაშინ შეიქმნება ძლიერი დამოუკიდებელი სუვერენული რესპუბლიკები, რომლებიც შეადგენენ ძლიერ ჯამს — სსრ კავშირს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ვ. ნ. კუდრიავცევი** საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრაქტიკული უკუგების თემას შეეხო. გარდაქმნის პირველ ეტაპზე პოლიტიკური გადაწყვეტილებები წინ უსწრებდა მეცნიერულ რეკომენდაციებს. პოლიტიკური რეფორმის მეორე ეტაპი ახლა უკეთ არის უზრუნველყოფილი მეცნიერული თვალსაზრისით. ეს ეხება სასამართლო რეფორმას, ადგილობრივი მართვისა და ადგილობრივი საბჭოების რეფორმას. ახლა თავისი ბაზა აქვს რეგიონალურ სამეურნეო ანგარიშს.

გადასაჭრელია მთელი რიგი ძალიან სერიოზული კონკრეტული საკითხები. მაგალითად, მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის ინტერესები. არ არის საზოგადოებრივი ცნობიერების ფსიქოლოგიის, განსაკუთრებით ეროვნული ფსიქოლოგიის ანალიზი, რაზეც არავინ მუშაობდა. ჩვენი ცენტრალური ამოცანაა თანამედროვე სოციალიზმის კონცეფციის შექმნა მისი ყველა ასპექტით. აქ უნდა გავაანალიზოთ რეალობები და საჭიროა მოდელები, ვინაიდან მოდელი მიზნანა, რომლისკენაც უნდა მივდიოდეთ. თუ არ იქნება ოპტიმალური მოდელები ეკონომიკაში, პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ცნობიერებაში, კულტურასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში, შემდგომში მუშაობა გაძნელდება.

ცენტრალური ორგანიზაციული საკითხია პოლიტიკურ პრაქტიკასთან საზოგადოებრივი მეცნიერების ურთიერთკავშირის მექანიზმის საკითხი, მექანიზმისა, რომელიც ადრე არ ყოფილა. ეს საკითხი სამი ელემენტისაგან შედგება. პირველი — ეს არის სოციალური შეკვეთა. ახლა სოციალური შეკვეთის ზოგიერთი ელემენტი, ბოლოს და ბოლოს, ვლინდება. მეორე ელემენტი, რომელიც უკვე უფრო მეტად არის დამოკიდებული მეცნიერებზე, — ეს არის ანალიზის სიღრმე. ანალიზის სრული სიღრმე ჯერჯერობით არ არის. ეს დაკავშირებულია კადრებთან, ცოდნის დონესთან, მსოფლიო გამოცდილების გამოყენებასთან. ამგვარი რამ შეიძლება თქვას ყოველ მეცნიერებაზე. მესამე ელემენტია უკუკავშირი. ხშირად მეცნიერები ვერ იღებენ პასუხს თავიანთ რეკომენდაციებზე. ალბათ, რაღაც შედეგი არის, რეკომენდაციები ლაგდება იმათ შეგნებაში, ვინც იღებს გადაწყვეტილებას. მაგრამ საჭიროა, რომ მეცნიერები ხედავდნენ თავიანთი შრომის შედეგებს, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეცნიერებებში, თუმცა ეს უფრო ძნელია, ვიდრე ტექნიკაში.

მწერალმა **დ. ა. გრანინმა** აღნიშნა, რომ მრავალი პრობლემიდან, რომლებიც ამ შეხვედრაზე აღიძრა და აღელვებს მას უკანასკნელი წლების მანძილზე, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გულმოწყალების პრობლემას. წელიწადზე ნაკლებია, რაც არსებობს გულმოწყალების საზოგადოება, მაგრამ უკვე დავრწმუნდით, რომ ადამიანებს მოენატრათ სხვისთვის თანაგრძნობის გაწევა, მობრძოლათ ცხოვრება გულქვაობის, გულგრილობის, ეგოიზმის, თავკერძოობის, ანგარების გამომფიტავ ვითარ-ში.

ამას წინათ გაიმართა საინიციატივო ჯგუფების კრება კავშირის ყველა დიდ ქალაქში გულმოწყალების საზოგადოებათა შექმნის მიზნით. ჩვენ ცოტას ვლაპარაკობთ ამ მოძრაობაზე, შეგნებულად არ გვინდა ვილაპარაკოთ მასზე ბევრი, არ გვინდა იმიტომ, რომ ეს მეტად ფაქიზი მოძრაობაა, რომელსაც აფრთხობს ყოველგვარი რეკლამა. ეს არის არა უბრალოდ წმინდა ზნეობრივი გულის წადილი, არამედ რაღაც ძალზე საინტერესო სოციალური ფენომენი თანამედროვეობისა. ამ თვალსაზრისით რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირსაც მართებს მეტი პარტიულობის გამოვლენა.

ვ. ბ. გორბაჩოვი: სერგე ვლადიმერის ძეე, იქნებ ჩვენმა ლიტერატორებმა ცალმხრივი განიარაღების პრინციპის მიმართონ? (გამოცოცხლება. ტაში).

გარდაქმნა ბალტიისპირეთში, თქვა თავის გამოსვლაში პოეტმა **ი. ი. პეტერსმა,** ამ რეგიონის ხალხებისათვის იგივე გზაა, რაც ამ რესპუბლიკებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია იყო. ტუუილად როდი ამბობენ ჩვენში, რომ ბალტიისპირეთში ახლა სოციალიზმის რწმენის აღორძინება ხდება. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ამას უნდა მოვუფიქრდეთ. ამასთან დაკავშირებით ორატორმა ცენტრალური გაზეთების მისამართით გამოთქვა სურვილი, რომ მათ, მისი აზრით, უფრო ობიექტურად უნდა შეაფასონ ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესი. დღეს რიგაში მოწვეულმა ერთმა პატივცემულმა პოეტმა მკითხა: „შეიძლება კი იქ ლექსების რუსულად კითხვა?“ მიხდა დაგარწმუნოთ, განაცხადა ორატორმა, რომ ხალხი ჩვენს რესპუბლიკაში ძალიან ზუსტად ერკვევა, ვინ რას ფარმოადგენს მისი ეროვნების მიუხედავად. კონფლიქტი, ვთქვათ, ლატვიელებსა და რუსებს შორის, ლატვიაში არ არსებობს, არის მხოლოდ კონფლიქტი გარდაქმნის მონაწილეებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის.

ი. პეტერსმა თავის გამოსვლაში ქალაქ ვენტსპილსის ტკოლოგიური მდგომარეობის პრობლემა აღძრა. ორატორი აგრეთვე შეეხო მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცების პრობლემას. ჩვენი მოთხოვნა სუვერენიტეტის თაობაზე, განაცხადა მან, ძლიერი ცენტრის მოთხოვნის ტოლფასია. ვინაიდან იგი ვერანაირად ვერ ჩამოყალიბდება სუსტი რესპუბლიკებისაგან — ძლიერი ჯამი ხომ წვრილ-წვრილი შემადგენელი ნაწილებისაგან ვერ გაჩნდება. თუ რესპუბლიკებში მთელი ძალაუფლება საბჭოებს ექნებათ, სწორედ მაშინ შეიქმნება ძლიერი დამოუკიდებელი სუვერენული რესპუბლიკები, რომლებიც შეადგენენ ძლიერ ჯამს — სსრ კავშირს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ვ. ნ. კუდრიავცევი** საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრაქტიკული უკუგების თემას შეეხო. გარდაქმნის პირველ ეტაპზე პოლიტიკური გადაწყვეტილებები წინ უსწრებდა მეცნიერულ რეკომენდაციებს. პოლიტიკური რეფორმის მეორე ეტაპი ახლა უკეთ არის უზრუნველყოფილი მეცნიერული თვალსაზრისით. ეს ეხება სასამართლო რეფორმას, ადგილობრივი მართვისა და ადგილობრივი საბჭოების რეფორმას. ახლა თავისი ბაზა აქვს რეგიონალურ სამეურნეო ანგარიშს.

შემდეგ გ. ვ. სვირიდოვმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ ქვეყანაში მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა საეკლესიო გალობის კულტურამ. უნდა ითქვას, რომ საქმე ეხება ამ შემთხვევაში არა მარტო რუსულ მუსიკას, არამედ უკრაინელთა, ბელორუსთა, ქართველთა, სომეხთა მუსიკასაც. ჩვენ ვიძენთ მუსიკის ახალ, უდიდეს შრეს. უფრო მეტიც, ჩვენი ხელოვნება, კულტურა იძენენ გაცილებით მეტ ისტორიას. ზოგჯერ გვისაყვედურებენ, რომ რუსული კულტურა ნასესხებია ევროპიდან, რომ იგი მხოლოდ გლეხკათი იწყება. ეს სრულიადაც არ არის სწორი. ახლა ჩვენ მივიღეთ ეს უნიკალური კეთვნილება, რომელიც გულდასმით უნდა შევინახოთ და, რა თქმა უნდა, შევასრულოთ. ამგვარ მუსიკაში არის ჭეშმარიტად უკვდავი ნიმუშები, რომლებიც დღემდე უღრმეს შთაბეჭდილებას ახდენს. დასასრულ კომპოზიტორი შეეხო შემოქმედი ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემას.

სიტყვა ეძლევა მწერალ **ა. ვ. ადამოვიჩს.** მე ვფიქრობ, თქვა მან, რომ გარდაქმნის მთელი გეზი, რომელიც ზემოდან განისაზღვრება, ლენინური მარშრუტით მიდის. ილაპარაკა XIX პარტიული კონფერენციის მნიშვნელობაზე, ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ გაიმარჯვა პროგრესმა, რადგან ძალზე მძლავრი პოლიტიკური და იურიდიული საფუძვლები მიეცა გარდაქმნის მოძრაობას.

ამავე დროს მწერალმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ აქა-იქ ისევ, განსაკუთრებით ადგილებზე — რესპუბლიკებში, ოლქებში — ზღუდავენ საზოგადოებრივ ინიციატივას. მაგალითისათვის მან დაიმოწმა შარშანდელი 30 ოქტომბრის მინსკში მომხდარი მოვლენები. მწერლის აზრით, ბელორუსიაში ჯერჯერობით ვერ აფასებენ გარდაქმნაში შემოქმედი ინტელიგენციის როლს. იქმნება ნეგატიური აზრი ცალკეულ კულტურის მოღვაწეთა შესახებ.

იგი აგრეთვე შეეხო „მემორიალის“ საზოგადოებრივი ფონდის შექმნას. ეს-ეს არის, თქვა მწერალმა, გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის კარგი დადგენილება. მასში ნათქვამია, რომ ძველი არ იქნება ერთადერთი და არც მარტო მოსკოვში დაიდგმება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დეპუტატთა კომისიები ამას ხელს მოჰკიდებენ, მაგრამ ვფიქრობთ, ვერავითარი დეპუტატთა კომისია ვერ შეცვლის ერთ ბიუროს, რომელმაც ათეათასობით დოკუმენტი — რეპრესირებულთა საქმეები შეაგროვა. ყველა მიგდებული სასაფლაო წ�rიგნი უნდა მოვიყვანოთ.

მ. ს. გორბაჩოვი. ქვეყანაში ძებნა მიმდინარეობს. ადამიანები პოულობენ დაკრძალვის ადგილებს.

ა. ნ. ივანოვი. მოვიყვან მაგალითს, რათა გასაგები იყოს ჩემი შეშფოთება. ვკითხულთ ვოლნოვიჩის რომანს ჟურნალ „იუნოსტის“ მე-12 ნომერში „ჯარისკაც ივანე ჩონკინის უცნაური ფათერაკები“. ჩემი აზრით, იგი ცილს სწამებს საბჭოთა არმიასაც და საბჭოთა ჯარისკაცსაც, რომელმაც მსოფლიო ფაშიზმისაგან იხსნა.

პოეტი **ე. ა. ევტუშენკო:** ყოველი საზოგადოების კულტურას უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავს ადამიანის ღირსების კულტურა. გარდაქმნის ეკონომიკური და სულიერი პრობლემების გადაჭრის გასაღებია თითოეული მოქალაქის პირადი ადამიანური ღირსების ამაღლება, ჩვენი ქვეყნის თითოეული ხალხის ეროვნული ღირსების ამაღლება. მაგრამ არის კიდევ ერთი ღირსება, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე პირადი და ეროვნული, ეს არის ინტერნაციონალური ღირსება.

დიდმპყრობელური შოვინიზმი და ამასთანავე ყოველგვარი პატარა-პატარა ეგოისტური ნაციონალიზმები, რომლებიც დამოუკიდებლობის დამკვიდრების ნიშნით უარყოფენ რუსი ხალხის პოზიტიურ წვლილს მსოფლიო ისტორიაში, ერთნაირად განეკუთვნება დაბალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კულტურას, ღირსების გაგების დაბალ დონეს.

ყველა ხალხს ერთნაირი მტრები ჰყავს. ეს არის ომები, სტიქიური უბედურება, ავადმყოფობა, ყოველდღიური ცხოვრების სიმძიმე, ურთიერთუნდობლობა, უთავბოლოობა, ბიუროკრატია, ადამიანის პიროვნების ყოველგვარი ჩაგვრა, ადამიანის ღირსების ყოველგვარი დაცირება.

ილაპარაკა რა ეგრეთ წოდებულ დეფიციტებზე, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა მათგან ყველაზე დამღუპველი — წიგნების დეფიციტი. მან მოიყვანა ერთ-ერთი მკითხველის, მეამწე ქალის სიტყვები: „მოსაწყენი ბრეშნევების გულისთვის ჩვენთან უკვე ნახევარი ციმბირის ტაიგა გაკაფეს“. დიდძალი ქაღალდი ხმარდება უწყებათშორის მიმოწერას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ქვეყანაში კი წიგნის დეფიციტია.

ჩემი აზრით, თქვა დასასრულ ორატორმა, გარდაქმნის წარმატების საწინდარია სამი ღირსების — პირადი ღირსების, ეროვნული ღირსების და ინტერნაციონალური ღირსების — შერწყმა. ისინი განუყოფელი უნდა იყოს.

გარდაქმნის წარმატების მიუღწევლად, თქვა თავის გამოსვლაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა **ა. ა. აბალკინმა,** შეუძლებელია განვამტკიცოთ ჩვენი სოციალური ღირებულებანი, განვამტკიცოთ პარტიის ავტორიტეტი და გავაკეთოთ ყველაზე მთავარი რამ — შეუქმნათ ადამიანებს მათი ღირსეული ცხოვრება, შრომის პირობები, თავიანთი სულიერი მიდრეკილებების განვითარების შესაძლებლობანი. მაგრამ თუ გარდაქმნის მიზნების, თეორიის, ამ პოლიტიკური კურსის სისწორის თაობაზე არ წარმოიშობა პრობლემები, ზოგჯერ შეშფოთების იწვევს ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის ტემპიც, მიდგომები და ხერხები. საგზაოროდ, თვალში საცემი ხდება კამპანიური მიდგომის ელემენტები, მარტივი გადაწყვეტილებების, ასე ვთქვათ, ჯადოსნური ჯოხის, იმ ერთადერთი საშუალების ძიება, რომელსაც უნარი შესწევს გადაწყვიტოს ყველაფერი. ჩვენ ვიბრძოდით ბრიგადული იჯარისათვის. ახლა ვიბრძვით სანარდო იჯარისათვის. არავინ არ დავობს, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული ფორმაა. მაგრამ რა საჭიროა ამის კამპანიად გადაქცევა? სხვადასხვაგვარი ფორმები შეიძლება ჩამოყალიბდეს ბალტიისპირეთსა და შუა აზიაში. არ შეიძლება ყველას ერთი საწყაოთი მიუდგე.

მ. ს. გორბაჩოვი. ორმა ერთმანეთის გვერდით განლაგებულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამაც კი შეიძლება სხვადასხვა გზა აირჩიოს..

ლ. ი. აბალკინი. დაე, ეძებონ და აირჩიონ ის ფორმა, რომელიც მათ მოუხდებათ. ამისათვის ყველა ჩვენი დადგენილება და კანონი მკაცრი კი არ უნდა იყოს, არამედ იძლეოდეს არჩევნის, მანევრის, შედარების საკმარის თავისუფლებას, უნდათ შოუობა უარეხდოდ? დაე, იმუშაონ, არ უნდათ? ნუ გამოიყენებენ, ორი-სამი წლის შემდეგ თვით ცხოვრება გამოიყვანს მათ ამ გზაზე.

იცვლება პირობები, უნდა შეიცვალოთ ტაქტიკაც და უარი არ უნდა ვთქვათ რეფორმის არც მიზნებზე, არც საბოლოო აზრზე. საჭიროა ეკონომიკის გაჯანსაღების პროგრამა, 2-3 წლის ძალზე დიდი რადიკალური ღონისძიებების პროგრამა და, როგორც ჩანს, ეს პროგრამა უნდა წამოვიყენოთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე.

ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარმა რედაქტორმა **ს. ა. ბარუზდინმა,** შეეხო რა ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემებს, გამოთქვა აზრი, რომ ისინი დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს. როდგან მრავალი მათგანი უაღრესად მტკივნეულია. ამასთან ორატორმა დაიმოწმა ყირიმის ოლქის ბახჩისარაის რაიონში ხელისუფალთა, მისი აზრით, უმართებულო მოქმედება მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსული ზოგიერთი თათარი ოჯახის მიმართ.

გამოსვლაში აღინიშნა, რომ არ არის სათანადო კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. მაგალითად, შარშან მიღებული იყო ორი გადაწყვეტილება ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების შესახებ. ხელმოწერილი იყო ახალი კანონი საავტორო უფლების შესახებ, რომლის მიხედვითაც მწერლის რეალური ჰონორარი თითქმისდა ერთ-ნახევარჯერ იზრდება. რა მოხდა სინამდვილეში? გამომცემლობებში, გამსახლკომში ყველა ამ დადგენილებიდან აიღეს ერთი პუნქტი: დაემატოს ყველა სქელ ჟურნალს საერთაშორისო მიმომხილველის საშტატო ერთეული. დანარჩენი ყველაფერი ქვეშაში ჩაიკარგა. ორატორი შეეხო საგამომცემლო საქმის გადაუჭრელ პრობლემებს.

ჩემთვის ყველაზე ძვირფასია, თქვა აკადემიკოსმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორმა **ნ. პ. ბეხტერევამ,** ჩემი ოჯახი, ჩემი მეცნიერება, ახლა კი ჩვენი გარდაქმნა, ჩემი გარდაქმნა. მე არ ვეკიდები გარდაქმნას ისე, რომ ეს რაღაც ისეთი რამ არის, რაც ჩემს გარეთ ხდება, და მე უნდა შევიტანო მასში შეძლებისდაგვარი წვლილი. ჩემი აზრით, ყველა იმათთვის, ვინც ნამდვილად შეიგნო, რას ნიშნავს გარდაქმნა, ეს ისევე ძვირფასი უნდა იყოს, როგორც ოჯახი, როგორც საკუთარი საქმე და, ალბათ, უფრო მეტიც.

იმათი საქმიანობა, ვინც გარდაქმნის მომხრეა, და იმათი საქმიანობა, ვინც გარდაქმნის წინააღმდეგია, გადაწყვეტილია მთელ რიგ გზაჯვარედინებზე. გაისმის ხმლების წკარუნი სტალინის საკითხზე. როგორ მოვეკიდოთ ასეთ ფიგურას? ჰქონდა მას ღირსებები, პასუხს აგებს იგი თავისი საქციელისათვის, ერთად აგებს პასუხს, ცალკე აგებს პასუხს და ა. შ. ჰოდა, მე მინდა გამოვთქვა ამ საკითხზე ჩემი პოზიცია, და მე უნდა ვთქვა ეს, რადგან გაჩნდა სტატია „ლიტერატურნაია გაზეტაში“ სტალინის პარანოიის შესახებ. სტალინი, რა თქმა უნდა, დამნაშავეა. და მას უნდა მოვეკიდოთ როგორც დამნაშავეს. პარანოია, შესაძლოა, იყო კიდეც, მე აქ ვერც სადაოდ გავხდი ჩემი პაპის დიაგნოზს, ვერც დავიცავ, მაგრამ პარანოია, როგორც სინდრომი, არავითარ შემთხვევაში არ აუქმებს პასუხისმგებლობას საქციელისათვის. პარანოია თავისთავად არავითარი პასუხისმგებლობისაგან არ გვათავისუფლებს, იგი არ გვათავისუფლებს არც ჯილდოებისაგან გაკეთებული კარგი საქმისათვის, არც ისტორიის სამსჯავროსაგან. ძალიან მახარებს, რომ დაჩქარდება რეაბილიტაციის საქმეთა გადასინჯვის პროცესი. თქმა არ უნდა, ეს ღონისძიება რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს.

შემდეგ ნ. პ. ბეხტერევამ თქვა, რომ ადამიანის ტვინი საოცრად რთული მოწყობილობაა, რომლის შეცნობით შეგვიძლია შევიცნოთ ძალიან ბევრი ამბავი საზოგადოებაში, საზოგადო ცხოვრებაში. ეს მოვლენები ისევ დაკავშირებული ტვინის მუშაობის კანონზომიერებებთან, რომ მსოფლიოში არაფერი არ ხდება უიმისოდ, რომ არ დაიწყოს ჩვენს ტვინში. ახლა ადამიანის ტვინის, ინტელექტის შესწავლაში ჩვენთან გაჩნდა სრულიად ახალი შესაძლებლობა, რომელიც წინათ არ იყო, — იქნება ადამიანის ინსტიტუტი. შევიცნობთ რა ადამიანის, მისი ტვინის, მისი ორგანიზაციის კანონზომიერებებს, ეს კი უნდა დაედოს საფუძვლად ინსტიტუტის მუშაობას, ჩვენ გაცილებით უფრო მეტად გავიგებთ ჩვენი ადამიანური თანამოქმედების საკითხებს. ბუნებრივია, იმედი მაქვს, ეს ხელს შეუწყობს გარდაქმნას.

მწერალი **ი. ა. დრუცე:** გარდაქმნის უდიდესი მიღწევაა, რომ ხმა ამოიღო უბრალო ადამიანმა. თუ ჩვენ დავკარგავთ მასს, ხალხის ხმას, ამით დავკარგავთ ხალხის შეგნებას, და ამრიგად ხალხი გადაიქცევა უბრალო მოსახლეობად, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. თუ ხალხს არ გავუღვიძებთ ღირსების გრძნობას, არ დავუბრუნებთ შრომისმოყვარეობას, ზნეობრიობას ხალხური გგბეთი, უამისოდ ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერსაით ვერ წავიწევთ წინ.

მეორე პრობლემა, რომელსაც ორატორი შეეხო, არის ეკონომია. იგი ძალზე რთული და დინამიკური. რა ხდება სამხრეთში, ბოლოდაევეთში? 120 ათასი ჰექტარ მოლდაევეთის სოფლებში, მაგრამ ბევრ მათგანში წყალი მედიცინის თვალსაზრისით უვარგისია.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ორატორი შეეხო, — ეს არის სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ცნება „სახალხოს“ დროთა განმავლობაში ჩვენთან ისე გამოეცალა არსი, რომ თითქმის სიტყვა „არავისის“ სინონიმი გახდა. სოფელ სოსნოვკას, მაგალითად, აქვს 5 ათასი ჰექტარი. ვისია მიწა? ხალხის, ეს არის აქ ხალხი? — სოსნოვკელებმა, მაშასადამე, ეს 5 ათასი ჰექტარი სოსნოვკელთა მიწაა, მათი საკუთრებაა. თუ ჩვენ ამას გავიგებთ, მაშინ თავიდან მოვიშორებთ პესტიციდებსაც, მაშინ შეეძლებთ მოსავლის მომატებასაც.

თავის გამოსვლაში ორატორმა აუცრადღება დაუთმო აგრეთვე სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხებს.

ვფიქრობ, თქვა კინორეჟისორმა, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა **რ. ა. ბიკოვმა,** — ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს სახელმწიფოში, ჩვენს ხალხს შორის მაინც არის, როგორც წარსულის გადმონაშთი, ხელოვნური დანაწევრება. ჩვენ ზმირად უწყვიტრივად, დაყოფილად აღვიქვამთ საგნებს. ჩვენში ზოგი მუშაობს კულტურაში, ზოგი ეკონომიკაში, ზოგი ფინანსებში. მაგრამ ადამიანი ერთია, მის ცხოვრებაში ყველაფერი ეს თავს იყრის, ყველაფერი ეს კომპლექსური, ურთიერთდაკავშირებულია.

აღზრდისა და მთელი ჩვენი ცხოვრების ჰუმანიზაცია განუყოფელია. ამ თვალსაზრისით არ უნდა დავინაოთ ხარჯები განათლებისათვის, მისი სრულყოფისათვის. ღირს იმაზე ფიქრი, თქვა მან, თუ როგორ ვაყალიბებთ ადამიან

გავზარდოთ გარდაქმნის ინტელექტუალური პოტენციალი

(დასასრული)

მ. ხ. გორბაჩოვი. უნდა შეგახსენოთ, რომ ჩვენთან ჩემი ხელმძღვანელობით შექმნილია პოლიტბიუროს კომისია, რომელშიც მონაწილეობენ ორი მხარის წარმომადგენლები — დეპუტატები აზერბაიჯანისა და სომხეთისაგან. 11 იანვარს უნდა დავამთავროთ მტკივნეული საკითხის განხილვა. მიწისძვრის გამო იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა მუშაობა. საშინელი უბედურება მოხდა. მაგრამ 11-სათვის უკვე დავნიშნეთ ასეთი შეხვედრა...

რ. კ. ოვანესიანი. სომეხი ხალხის სახელით მინდა ჩვენი მადლობა მოგახსენოთ პირადად თქვენ, მიხეილ სერგის ძევ, ნიკოლაზ ივანეს ძე რიჟკოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მთელ შემადგენლობას, მწერლებს, ორგანიზაციებს, რომლებმაც სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული განსაცდელის მკაცრ, ტრაგიკულ ჟამს არნახული მორალური და მატერიალური დახმარება გაგვიწიეს.

რესპუბლიკურ გაზეთებში დაბეჭდილია მთავრობისა და ცენტრალური კომიტეტის, გადაწყვეტილებათა ვრცელი შინაარსი, სადაც დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული, რომელ რესპუბლიკას რა წვლილი შეაქვს დაზარალებული ქალაქებისა და სოფლების აღდგენაში.

ილაპარაკა რა გარდაქმნაზე ეროვნებათშორის სფეროში, ორატორმა დაიმოწმა ლენინის ოცნება ისეთ ფედერაციაზე, რომელშიც მცირე და დიდი ეროვნული ფორმირებანი თანაბარი უფლებებით შევლენ.

გარდაქმნა სომხეთში, თქვა ორატორმა, მიიღო ხალხმა, გარდაქმნის იდეა ჩვენთვის ნიშნავს დიდი ხნის ნანატრ წვიმას დაგვალულ მიწაზე

შეჯამა რა შეხვედრის შედეგები, **მ. ხ. გორბაჩოვმა** თქვა:

ვფიქრობ, ჩვენ დიდი და მნიშვნელოვანი სჯა-ბაასი გავმართეთ. კონსულტაციების ასეთი თავისებური შექანიზმი აუცილებელია ცენტრალური კომიტეტისათვის, პოლიტბიუროსათვის. შეხვედრები სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებთან რეგულარული ხასიათისა უნდა იყოს. დღეს ყველამ ვერ შეძლო აზრის გამოთქმა. იმედი მაქვს, ამხანაგები ნაწყენი არ დარჩებიან. თუ ვინმეს ექნება სურვილი გაგვაცნოს ის, რის თქმაც სურდა, მეც და ხელმძღვანელობის ყველა დანარჩენი ამხანაგიც თქვენს განკარგულებაში ვართ.

მაყოფილი ვარ ატმოსფეროთი, რომელშიც შეხვედრა მიმდინარეობდა. აბა, სადაე ასეთი სჯა-ბაასის შემდეგ დაამტკიცო, რომ ჩვენში გარდაქმნა არ არის, ან რომ მან უკვე ამოწურა თავისი თავი. გარდაქმნა უკვე გაგვიჯდა. სერგი პავლეს ძე ზალიგინმა კარგად თქვა: „ჩვენგან რომ ამოიღო ყოველივე ის, რაც გარდაქმნასთან არის დაკავშირებული, არავინ იცის, რა დარჩება — გარსი“. ძალიან ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი რამ შევიტყვეთ ერთმანეთისაგან. ეს კი უკვე ბევრი რამ არის, ამხანაგებო.

ვფიქრობ, თქვენ ყველამ გაიზიარეთ ის შეფოთება, რომელზეც ვილაპარაკე გარდაქმნის ახალ ეტაპთან დაკავშირებით. გარდაქმნის ყველა მიმართულებით წინ უნდა ვიაროთ. მხოლოდ ასე შეგვიძლია ვიქონიოთ წარმატების იმედი. მიხდა ვიმეფოთვნებდე: ყველამ გაიგო, რომ გვჭირდება კონსოლიდაცია. არა ნუბისმიერ ფასად, არა, არამედ გარდაქმნის პოლიტიკის ერთგულების გზებზე, ჩვენი სოციალისტური ღირებულებების საფუძველზე, რათა წინ წავწიოთ გარდაქმნა, რათა მთავარი ყურადღება დავუთმოთ ახლა აღმშენებლობითს მუშაობას, ყოველივე იმის მხარდაჭერას, რასაც ასე ძნელად ვაღწევთ ყველა სფეროში — ეკონომიკაში, პოლიტიკურ პროცესში, სულიერ ცხოვრებაში.

ერთმანეთს ვუზიარებთ რა აზრებს, ვკამათობთ, ვუდარებთ, ჩვენ უნდა გავამდიდროთ ეს პროცესი. და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვეგონოს, თითქოს, აი, ზოგს ხელთ უპყრია ჭეშმარიტება, ხოლო სხვები — ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ყალბი ღირებულებების დროშას აფრიალებენ.

მე მივაქციე ყურადღება, რომ მაინც მრავალი ორატორი საკმაოდ ზუსტად იცავდა თავის „ტუთხეს“, თავის „სექტორს“. ეშინოდათ, ალბათ, რომ მერე, როცა შეიკრიბებიან თავიანთ წრეში შედეგების განსახილველად, არავის არ შეეპაროს ეჭვი, რომ ვიღაცამ ვიღაცას დაუთმო. მაგრამ ეს ხომ, ამხანაგებო, დათმობა არ არის. ეს ურთიერთგაგებაა. ურთიერთგაგება, რომელიც ჩვენ ყველს დღეს ასე გვჭირდება. ყველა გამოსვლაში, მათ შორის უკიდურეს გამოსვლებშიც, არის საფუძვლიანი შეფოთება. მაგრამ შეშფოთება ვერ შეეხამება უნდობლობას, არაკეთილმოსურნეობას. ამისგან უნდა გავთავისუფლდეთ — სავსებით ვიზიარებ აქ არაერთგზის გამოთქმულ ასეთ აზრს.

ხალხი ამბობს: როგორ მოგვბეზრდა ბოღმა, თანაც კიდევ სიტყვის ოსტატის მიერ ჩამოყალიბებული ბოღმა! მწარე ნათქვამია. ეს მთელ ქვეყანას ესმის. საითკენ მიდის, რას ხმარდება ტალანტი? სად მიგვაქცეს ჩვენი სიტყვა? სიტყვა ხომ მხედარმთავარია. განათლებულ ქვეყანაში ეს ხომ დიადი საქმეა!

დღეს ახალი ატმოსფეროა საზოგადოებაში. იმისათვის, რომ ინტელიგენციის როლი აქტიური იყოს, შევქმენით სწორედ საჯაროობის, კარგახსნილობის ატმოსფერო, შემოქმედებითი, აღმშენებლობითი ატმოსფერო, რომელშიც მხარს დაუჭერენ ყოველივე ჯანსაღს. არ დავთმოთ გარდაქმნის პოზიციები, არ დავთმოთ ის, რაც მოვიპოვეთ, საჭიროა ძირფესვიანად აღვკვეთოთ ყოველივე, რაც ხელს გვიშლის, უარი ვთქვათ სისასტიკესა და გაბოროტებაზე.

მოდით, გავიაზროთ ჩვენი დისკუსიის, აი, ეს ნაწილი. ვფიქრობ, ყველა შიშობს, მაგრამ, ბოლოსდა ბოლოს, ჩვენ ხომ პასუხისმგებელი ადამიანები ვართ. ჩვენში აფასებენ ბრძნულ სიტყვას, ყურად იღებენ მას. მოდით, ვიყოთ პასუხისმგებელნი!

შეიძლება აღინიშნოს, რომ არის გაგება მთავარში, არის განცდები ქვეყნისათვის, მისი განახლებისათვის, ხალხისათვის, იმისათვის, რომ წინ წავწიოთ ჩვენი გარდაქმნა. დღეს ჩვენ უდიდესი [illegible] გვაქვს! ოღონდ პაბიკას, პესიმიზმს, [illegible] ეგოლატეხილობას არ უნდა მივეცეთ. სიძნელეები ბუნებრივია: ასეთ მკვეთრ, გარდამტეხ [illegible] ვევეებზე.

უნდა ვიცხოვროთ საზოგადოებაში და ვიშრომოთ აქტიურად, რათა განვაახლოთ ჩვენი ცხოვრება. ჩვენ ყველანი ვმონაწილეობთ გარდაქმნაში, ზოგი — მეტად, ზოგი — ნაკლებად. ადამიანები სხვადასხვაგვარი არიან, თითოეულს თავისი ხასიათი, თავისი ნება, დელიკატურობის, გამბედაობის სხვადასხვა დონე აქვს. ყველაფერი, რაც ადამიანს უკავშირდება, არ უნდა ჩამოვაგდოთ ანგარიშიდან. მაგრამ ახლა, როცა დიდი ლაშქრობა დავიწყეთ, მოდით, მაინც გამოვნახოთ შეზნის წერტილები, გამოვიჩინოთ პატიოსანმეტი, მეტი არგუმენტები კამათში. მაინც, მე მგონი, ჩვენ ნამდვილად ბედნიერნი ვართ იმით, რომ წილი გვიძევს ასეთ დიად საქმეში. პრობლემების მთელი სირთულის, მათი მთელი სიმწვავის, ყოველივე იმის მიუხედავად, რასაც ვაწყდებით, — ყველაზე მოულოდნელ საკითხებს, ეროვნულ [illegible] ეროვნულ და ფინანსურ [illegible] შეიძლება ითქვას, რომ ეს დიადი დროა, და [illegible] ეს [illegible] ეს [illegible] [illegible] [illegible]